საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2019 წლის ანგარიში

2020

სარჩევი

შესავალი ... 3

საქმიანობის სტატისტიკური ანგარიში ... 4

დეპარტამენტის მიერ იდენტიფიცირებული მნიშვნელოვანი გამოწვევები ... 9

- უფლებადარღვევები საპროტესტო აქციებზე ... 9
- სიცოცხლის უფლება ... 12
- წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა ... 16
  - ძირითადი ტენდენციები ... 16
  - კონკრეტული საქმეების გამოძიება ... 19
  - გაჭიანურებული სამედიცინო მომსახურება ... 21
- ხარვეზიანი გამოძიების სხვა შემთხვევები ... 23
- თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება ... 24
- სამართლიანი სასამართლოს უფლება ... 27
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ... 31

სპეციალური ანგარიშები ... 34

შესავალი

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი (შემდეგში - დეპარტამენტი), 2015 წლის 15 იანვრიდან სახალხო დამცველის აპარატის სტრუქტურული ერთეულია და მის კომპეტენციად განისაზღვრა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე ზედამხედველობა როგორც გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე, ისე დაკავების, პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა დაწესებულებებში.

დეპარტამენტი ზედამხედველობას უწევს ისეთი უფლებების დაცვას, როგორიცაა სიცოცხლის უფლება, წამებისა და სხვა სასტიკი, არადაამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვა, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა და სხვა. ხარვეზების იდენტიფიცირების შედეგად, დეპარტამენტი შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს, წინადადებებს, სასამართლოს მეგობრის მოსაზრებებს, სპეციალურ ანგარიშებს.

დეპარტამენტი საქმისწარმოებას იწყებს როგორც უშუალოდ მოქალაქეთა განცხადებების, ისე პროაქტიულად - საჯარო სივრცეში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე.

დეპარტამენტი საქმიანობის წლიური ანგარიშის მიზანია საზოგადოების მიაწოდოს ინფორმაცია 2019 წელს (შემდეგში - საანგარიშო პერიოდი) დეპარტამენტის მიერ შესრულებული საქმიანობის შესახებ, განხორციელებული აქტივობებისა და მიღწეული შედეგების შესახებ, ასევე, წარმოაჩინოს ის სისტემური ხარვეზები თუ ინდივიდუალური უფლებადარღვევები, რომელიც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში 2019 წელს გამოვლინდა.

წინამდებარე ანგარიში სამი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში წარმოდგენილი იქნება დეპარტამენტის მიერ განხორციელებული საქმიანობის სტატისტიკური ანალიზი. მეორე ნაწილში განხილული იქნება თითოეული უფლება, რომელთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტმა მნიშვნელოვანი გამოწვევები გამოავლინა, მესამე ნაწილი კი ამ პერიოდში გამოცემული სპეციალური ანგარიშების მიმოხილვას დაეთმობა.

ისევე როგორც მთლიანად სახალხო დამცველის აპარატისთვის, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფო უწყებებთან შეუფერხებელი და ოპერატიული თანამშრომლობა. ძირითად შემთხვევებში უწყებებს სწორად აქვთ გააზრებული აპარატის კონსტიტუციური როლი და მანდატი და ცდილობენ არ შექმნან ხელოვნური ბარიერები აპარატის საქმიანობაში. 2019 წელს ეფექტური თანამშრომლობის კუთხით განსაკუთრებით გამორჩეული იყო სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური.

თუმცა, მიუხედავად სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობის ნორმატიული ვალდებულებისა, რიგი სახელმწიფო უწყებების მხრიდან ნაკლებად ვლინდებოდა სახალხო დამცველის აპარატთან სრულფასოვანი თანამშრომლობის მზაობა, რაც ძირითად შემთხვევებში ინფორმაციის არასრულყოფილი სახით მიწოდებასა თუ დაგვიანებით მიწოდებაში გამოიხატებოდა.

სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ითვლება.[1] მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველის აპარატი მუდმივად ცდილობს შეინარჩუნოს კონსტრუქციული თანამშრომლობის ფორმები და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავს კანონით დადგენილ პროცედურებს, კონკრეტული სახელმწიფო მოხელეების სანქცირების მიზნით. ვიმედოვნებთ, რომ მომდევნო წელი პოზიტიური პროგრესის მაჩვენებელი იქნება და უკლებლივ ყველა საჯარო უწყება/სტრუქტურული ერთეული ზედმიწევნით შეასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს სახალხო დამცველის აპარატთან და მათ შორის, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტთან თანამშრომლობის მიმართულებით.

საქმიანობის სტატისტიკური ანგარიში

2019 წელს სისხლის სამართლის დეპარტამენტში შევიდა 3 330 განცხადება. აქედან 2 273 განცხადება შემოვიდა პენიტენციური დაწესებულებებიდან. ხოლო დამატებით, პატიმრის მონახულების შესახებ მოთხოვნა დაფიქსირდა 118 განცხადებაში. ჯამში პატიმრების საქმეებზე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა შეისწავლა 2 391 განცხადება.

პენიტენციური დაწესებულებებიდან შემოსული განცხადებების რაოდენობა ასე გამოიყურება: N2 პენიტენციური დაწესებულებიდან შემოვიდა 370 განცხადება, N3 – 250, N5 – 107, N6 – 208, N7 – 69, N8 – 697, N9 – 90, N12 – 10, N14 – 21, N15 – 51, N16 – 46, N17 – 66, N18 – 245 და N19 – 43 (იხ. დიაგრამა N1).

დიაგრამა N1



[1] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხ. 173[4].

ამრიგად, ყველაზე ხშირი მომართვიანობა დაფიქსირდა N8 პენიტენციური დაწესებულებიდან, ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობის განცხადებები დაფიქსირდა N12 და N14 პენიტენციური დაწესებულებებიდან. ხოლო არასრულწლოვანთა დაწესებულებიდან შემოსული განცხადება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტს არ განუხილავს.

ყველაზე ხშირად პენიტენციური სისტემიდან შემოსული განცხადებები ეხებოდა დაგვიანებულ ან უხარისხო სამედიცინო მომსახურებას, სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანის მოთხოვნას, მიმოწერის უფლების დარღვევას, ციხის არასათანადო პირობებს. კვლავ ხშირი იყო პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის შესახებ პრეტენზიები. მოქალაქეების წუხილს ხშირად წარმოადგენდა გაჭიანურებული გამოძიება.

დეპარტამენტმა წლის განმავლობაში სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში გააგზავნა 1 947, ხოლო მოქალაქესთან/განმცხადებელთან - 795 წერილი. დეპარტამენტმა შეისწავლა 64 სისხლის სამართლის საქმის სრული მასალები.

2019 წელს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის ფარგლებში პენიტენციურ დაწესებულებებში, ფსიქიატრიულ დაწესებულებასა და კლინიკებში, დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და პოლიციის სამმართველოებში ჯამში განხორციელდა 405 ვიზიტი. აქედან 346 ვიზიტი განხორციელდა პენიტენციურ დაწესებულებებში, 22 ვიზიტი - ფსიქიატრიულ დაწესებულებასა და კლინიკებში, 37 ვიზიტი კი დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და პოლიციის განყოფილებებში. კონკრეტულ პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა ასე გამოიყურება: N2 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელდა 50 ვიზიტი, N3 – 28, N5 – 24, N6 – 34, N7 – 10, N8 – 57, N9 – 10, N11 – 1, N12 – 8, N14 – 9, N15 – 10, N16 – 18, N17 – 23, N18 – 54, N19 – 10. სულ მონახულებულ იქნა 1 728 დაკავებული/დაპატიმრებული პირი.

დეპარტამენტმა განახორციელა 65 სასამართლო პროცესის მონიტორინგი, 61 ვიზიტი განახორციელა პროკურატურაში და სასამართლოში კონკრეტული საქმეების შესწავლის მიზნით, 23 სამუშაო ვიზიტი კი განახორციელა პარლამენტში, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში და სხვა სახელმწიფო უწყებებში.

2019 წელს დეპარტამენტმა საქმისწარმოება დაასრულა 2 918 განცხადებაზე.

2019 წელს დეპარტამენტის მიერ მომზადდა და გაიგზავნა 3 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება. 2 მათგანი გაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში. მესამე სასამართლოს მეგობრის მოსაზრება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის მიერ მომზადდა და გაიგზავნა საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელზე „საქართველოს მოქალაქე - ზურაბ ჯაფარიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ". ჯერჯერობით არ არის ცნობილი 3 სასამართლოს მეგობრის

მოსაზრების განხილვის შედეგები, ვინაიდან სამივე საქმეზე მიმდინარეობს არსებითი განხილვა.

ასევე, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის მიერ მომზადდა და გაიგზავნა 22 წინადადება და რეკომენდაცია. აქედან 3 წინადადება გამოძიების დაწყების თაობაზე:

- 1 წინადადება ეხებოდა სამართალდამცავების მხრიდან მოქალაქეების მიმართ შესაძლო არაპროპორციული ძალის გამოყენების ფაქტზე გამოძიების დაწყებას
- 1 წინადადება შეეხებოდა ერთ-ერთი სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის ფაქტზე ცეცხლსასროლი იარაღის სავარაუდო დაუდევრად შენახვისა და სავარაუდო სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტებზე გამოძიების დაწყებას
- 1 წინადადება ეხებოდა კონკრეტული სისხლის სამართლის საქმიდან მტკიცებულებების დაკარგვის ფაქტზე გამოძიების დაწყებას.

დეპარტამენტმა მოამზადა წინადადება გენერალური პროკურატურის მიმართ, რომელიც ეხებოდა სამართალდამცავთა მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყებას.

დეპარტამენტმა ასევე მოამზადა რეკომენდაცია გენერალური პროკურატურის მიმართ, რომელიც ეხებოდა კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე ყადაღის გაუქმების საკითხს.[2]

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა მოამზადა 9 რეკომენდაცია იუსტიციის სამინისტროს მიმართ:

- 3 რეკომენდაცია ეხებოდა კონკრეტული პატიმრების ეტაპირებას ოჯახის წევრების საცხოვრებელთან ყველაზე ახლოს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში
- 1 რეკომენდაცია ეხებოდა პატიმრისთვის ადეკვატური და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების გაწევას
- 1 რეკომენდაცია ეხებოდა პენიტენციური დაწესებულების ექიმის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყებას, ფიზიკური დაზიანებების არასრულყოფილი დოკუმენტირების გამო
- 1 რეკომენდაცია ეხებოდა პატიმრის პირადი ნივთების დაკარგვის ფაქტის შესწავლას;
- 1 რეკომენდაცია ეხებოდა პატიმრის პირობით ვადამდე გათავისუფლების მიზნით ადგილობრივ საბჭოში დოკუმენტაციის გადაგზავნის ვადების დაცვას
- 1 რეკომენდაცია ეხებოდა N6 პენიტენციური დაწესებულებიდან სახალხო დამცველის ცხელი ხაზით პატიმრების შეუფერხებელი სარგებლობის უზრუნველყოფას

[2] აღნიშნულ საკითხზე დეტალური საუბარია სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში, გვ. 214-216.

- 1 რეკომენდაცია ეხებოდა ნორმატიულ აქტში ცვლილებების შეტანას, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო პატიმრის სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გადაყვანის შესახებ ახლო ნათესავისთვის ინფორმაციის უმოკლეს ვადებში მიწოდება.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა მოამზადა 2 წინადადება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ. ერთი ეხებოდა მოქალაქის მიმოსვლის თავისუფლების კანონსაწინააღმდეგოდ შეზღუდვის ფაქტს, ხოლო მეორე შემთხვევაში სახალხო დამცველი ითხოვდა ერთ-ერთი დროებითი მოთავსების იზოლატორის ექიმის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყებას, ვინაიდან მან სავარაუდო არასათანადო მოპყრობისა და მოქალაქის სხეულზე არსებული დაზიანებების შესახებ არ შეატყობინა საგამოძიებო უწყებას.

2019 წელს დეპარტამენტმა ასევე მოამზადა რეკომენდაცია საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიმართ, რომლითაც სახალხო დამცველი ითხოვდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ამოქმედებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების გამოყოფის უზრუნველყოფას.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის მიერ კონკრეტულ საქმეებზე მომზადებული ზემოხსენებული 17 წინადადება/რეკომენდაციის გაზიარების მაჩვენებელი შემდეგია:

- დაკმაყოფილა 8 წინადადება/რეკომენდაცია
- არ იქნა გაზიარებული 7 რეკომენდაცია/წინადადება
- 2 წინადადება/რეკომენდაციაზე საბოლოო პასუხი ჯერჯერობით დეპარტამენტს არ აქვს.

გარდა ამ 20 დოკუმენტისა, დეპარტამენტმა 2019 წელს მოამზადა 5 წინადადება გენერალური პროკურატურის მიმართ 20-21 ივნისს რუსთაველის გამზირზე შეკრებისა და მანიფესტაციის დაშლისას შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული მოხელეების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით ან იარაღის გამოყენებით გადამეტების ფაქტზე მიმდინარე საქმის ფარგლებში.[3]

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა ასევე მოამზადა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღმასრულებელ ორგანოში - ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტში გასაგზავნი კომუნიკაცია საქმეზე "მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ" (ინდივიდუალური ღონისძიებების ნაწილი). კომუნიკაციაში ასახულია ის სისტემური თუ ინდივიდუალური ხარვეზები, რომელიც ამ საქმის გამოძიებაში გამოვლინდა და რომელიც ივანე მერაბიშვილის საკნიდან გაყვანის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების მასალების სრულყოფილმა ანალიზმა აჩვენა.

[3] მოცემული საქმე განხილული იქნება ამავე ანგარიშის შემდეგ თავში: „უფლებადარღვევები საპროტესტო აქციებზე".

დეპარტამენტმა 2019 წელს ასევე მოამზადა საინფორმაციო ბროშურა, რომელიც ასახავს ძირითადი უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმაციას, რაც მოქალაქეს პოლიციასთან ურთიერთობაში დაეხმარება.[4]

ასევე მოამზადა და გამოსცა 3 სპეციალური ანგარიში, რომელიც ეხებოდა არასათანადო მოპყრობის ეფექტიან გამოძიებას, პატიმრების მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების ხარვეზებს, და პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკას.[5] დეპარტამენტმა მუშაობა დაიწყო სხვა 3 კვლევაზეც, რომლის შედეგები საზოგადოებას 2020 წელს წარედგინება.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2019 წლის ძირითადი აქტივობები წარმოდგენილია დიაგრამა #2-ში.

დიაგრამა N2



[4] ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე < http://www.ombudsman.ge/geo/broshurebi-da-bukletebi/ra-ar-unda-gavaketo-rotsa-politsia-macherebs > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 თებერვალს].

[5] დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება თავში: „სპეციალური ანგარიშები“.

დეპარტამენტის მიერ იდენტიფიცირებული მნიშვნელოვანი გამოწვევები

უფლებადარღვევები საპროტესტო აქციებზე

2019 წელი საპროტესტო აქციების სიმრავლით გამოირჩეოდა. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი სახალხო დამცველის აპარატის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად აქტიურად აკვირდებოდა პოლიციის მხრიდან კონკრეტული აქციების დროს ძალის გამოყენების პროპორციულობასა და აქტივისტების დაკავების პროცესში მათი უფლებრივი გარანტიების დაცვის საკითხს.

სახალხო დამცველის წარმომადგენლები აკვირდებოდნენ აქციების მიმდინარეობას, ნახულობდნენ ადმინისტარციული წესითა და სისხლის სამართლებრივი ბრალდებით დაკავებულ პირებს, ხვდებოდნენ დაკავებულების ოჯახის წევრებსა და ადვოკატებს, ამონიტორინგებდნენ სასამართლო პროცესებს, სწავლობდნენ კონკრეტულ უფლებადარღვევებთან დაკავშირებულ განცხადებებს და სხვა.

20-21 ივნისის აქციასთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატმა ადმინისტრაციული წესით დაკავებული 116 პირი მოინახულა. მათგან 35 მიუთითებდა ძალადობაზე პოლიციის მხრიდან, 12 პირს დაზიანებებიც აღენიშნებოდა. 7 პირმა განაცხადა თანხმობა რეაგირების განხორციელებაზე,[6] შესაბამისად, დეპარტამენტმა გენერალურ პროკურატურას მიმართა მოცემული მასალები დაერთო 20-21 ივნისის გამოძიების საქმეს.

დეპარტამენტმა პენიტენციურ სისტემაში მოინახულა სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლით ბრალდებული 16 პირი, რომელთაგან 1 პირის მიმართ პოლიციელების მხრიდან დისციპლინური დარღვევის ფაქტზე აპარატმა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას, ხოლო 1 პირის მიმართ ჩვენების იძულების სავარაუდო ფაქტზე პროკურატურას მიმართა. შსს-ს მიერ თანამშრომლების დისციპლინური გადაცდომის ფაქტი ვერ დადასტურდა.[7] მეორე შემთხვევაში კი პროკურატურამ დაიწყო გამოძიება მოხელის მიერ ჩვენების მიცემის მიზნით ბრალდებულის მიმართ განხორციელებული იძულების ფაქტზე, რომელიც ამ დრომდე მიმდინარეობს.[8]

ნოემბერ-დეკემბერში ჩატარებულ აქციებზე დაკავებულ პირთაგან აპარატმა 77 ადმინისტრაციული წესით დაკავებული მოქალაქე მოინახულა. მათგან 12-მა პირმა პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტზე მიუთითა, რასთან დაკავშირებითაც აპარატმა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს მიმართა, რომელმაც 10 პირის მიმართ

[6] თანხმობის გარეშე, სახალხო დამცველის აპარატი არ არის უფლებამოსილი, მიმართოს საგამოძიებო ორგანოს.

[7] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 11 ოქტომბრის NMIA819 02707197 წერილი.

[8] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 17 დეკემბრის N13/88192 წერილი.

განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიება[9] დაიწყო, ხოლო 2 პირთან საგამოძიებო ორგანოს არაერთი მცდელობის მიუხედავად ვერ შედგა კომუნიკაცია სავარაუდო დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად. 12 პირის მიმართ უფლებადარღვევისა და 2 პირის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობისას პოლიციელთა უმოქმედობის შესახებ აპარატმა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მიმართა. პასუხები აპარატს შსს-ს გენერალური ინსპექციიდან არ მიუღია.

სხვადასხვა მიმართულებით გამოვლენილი უფლებადარღვევების მასშტაბურობის გათვალისწინებით, განსაკუთრებით აღსანიშნავია 20-21 ივნისისა და 18 ნოემბრის აქციები.

1. 20-21 ივნისის საქმე

2019 წლის 22 ივნისს საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება 20-21 ივნისს აქციის დაშლისას შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მიერ ძალადობით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე. პროკურატურამ გამოძიების პროცესზე ზედამხედველობის მიზნით სახალხო დამცველი მიიწვია. სახალხო დამცველის რწმუნებულები 2019 წლის 2 ივლისიდან ეცნობიან საქმის, მათ შორის, მოცემული საქმიდან ცალკე წარმოებად გამოყოფილი 3 საქმის მასალებსაც. შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირი ასევე გაეცნო საქმის საიდუმლო ნაწილს. საქმის შესწავლის პროცესში, გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, სახალხო დამცველმა შექმნა საკონსულტაციო საბჭო, რომელსაც შესწავლის შედეგები პერიოდულად ეცნობებოდა.[10]

პრობლემატურად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ 20-21 ივნისს განვითარებულ მოვლენებს შინაგან საქმეთა სამინისტრო და პროკურატურა განცალკევებულად სწავლობენ,[11] რაც დამატებით ართულებს როგორც ერთიანი სურათის შექმნას, ისე - კონკრეტული სამართლებრივი შეფასებების გაკეთებას.

საქმის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ამ დროისთვის გამოძიებამ არაერთი საგამოძიებო მოქმედება ჩაატარა,[12] მათ შორის, ის მოქმედებები, რომელიც სახალხო დამცველის სხვადასხვა წინადადებებში იყო აღნიშნული.[13] სამწუხაროდ, სახალხო

---

[9] საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2019 წლის 22 ნოემბრის SIS71900005779, 9 დეკემბრის NSIS61900006632, 24 დეკემბრის NSIS919 00007382 და 2020 წლის 24 იანვრის NSIS22000001118 წერილები.

[10] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < https://bit.ly/2uhliRZ > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 თებერვალს]

[11] პროკურატურა სწავლობს პოლიციელთა მხრიდან ჩადენილ, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტრო - მოქალაქეთა მხრიდან ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებს.

[12] რამდენიმე ასეული პირის გამოკითხვა, დოკუმენტაციის ამოღება, ტყვიების, იარაღების ამოღება, ვიდეო-ჩანაწერების გამოთხოვა და დათვალიერება, სხვადასხვა ექსპერტიზების დანიშვნა.

[13] შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, ინსტრუქტაჟის ჩატარებასთან დაკავშირებული პირების, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსისა და თანამშრომლების, აგრეთვე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების გამოკითხვა.

დამცველის მიერ მოთხოვნილი საგამოძიებო მოქმედებების მნიშვნელოვანი ნაწილი ამ დრომდე არ შესრულებულა.[14]

სახალხო დამცველის აპარატი აგრძელებს გამოძიების პროცესის მონიტორინგს, რომლის შედეგებზე საზოგადოებას დეტალური ინფორმაცია წარედგინება ცალკე სპეციალური ანგარიშის გზით.

2. 18 ნოემბრის აქცია

2019 წლის 18 ნოემბრის აქციის დაშლას სახალხო დამცველის რწმუნებულები ადგილზე აკვირდებოდნენ. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაკავებული 37 პირი მათ იმავე ღამეს მოინახულეს. დაკავებულთა უდიდესი ნაწილი უთითებდა, რომ არ იცოდნენ დაკავების საფუძველი, არ ჰქონდათ ნანახი დაკავების ან სამართალდარღვევის ოქმი, ხოლო ის პირები, ვინც გაეცნენ ოქმებს, კატეგორიულად უარყოფდნენ მათში ასახულ ინფორმაციას.

საპატრულო პოლიციის მიერ დაკავებული 20 პირი რწმუნებულებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის ეზოში მოინახულეს. ისინი საპატრულო პოლიციის მანქანებში რამდენიმე საათის განმავლობაში ხელბორკილებით ისხდნენ, არ ეძლეოდათ საპირფარეშოთი სარგებლობის შესაძლებლობა, არ ჰქონდათ კონტაქტი ოჯახის წევრებთან, პარალელურად კი სამინისტროს შენობასთან მისულ ადვოკატებს აყოვნებდნენ, რაც დაკავებულებთან მათ შეხვედრას ართულებდა. აღნიშნული პრობლემა სახალხო დამცველის რწმუნებულების ჩარევის შემდეგ აღმოიფხვრა. დაკავების პროცესში პოლიციის მხრიდან ფიზიკური ძალადობის სავარაუდო ფაქტებთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატმა სახელმწიფო ინსპექტორის აპარატს მიმართა.

აქციების პროცესში შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად იყენებდა ე. წ. გარიდების მექანიზმს, მიუხედავად იმისა, რომ ამ უფლებამოსილების გამოყენება არ არის განჭვრეტადად რეგულირებული და შესაბამისად, შეიძლება ვერ აკმაყოფილებს კანონიერების პრინციპს.

2019 წლის 19-20 ნოემბერს, 28 ნოემბერსა და 17 დეკემბერს დეპარტამენტი აკვირდებოდა დაკავებული პირების ადმინისტრაციული საქმეების სასამართლო განხილვას, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვის მინიმალურ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებდა. განსაკუთრებით აღმაშფოთებელი იყო საქმეთა განხილვის არაგონივრულად გაჭიანურება ერთი მოსამართლის მიერ ყველა საქმის განხილვის გამო, დაკავების 12-საათიანი ვადის დარღვევა, პოლიციელთა მიერ სამხრე კამერების წარმოუდგენლობა და მოსამართლის მიერ დაცვის მხარისთვის აღნიშნულ შუამდგომლობაზე უარის თქმა. პოლიციელთა განმარტებები ხშირად ერთმანეთს არსებითად ეწინააღმდეგებოდა, დაკავებულებს კი

[14] განმეორებით და დეტალურად არ გამოიკითხნენ შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი და მისი მოადგილეები, არ ჩატარდა ექსპერტიზა რაციების ჩანაწერებზე, არ იქნა ამოღებული ქვემდგომი თანამშრომლების რაციის ჩანაწერები, არ იქნა ამოღებული მობილური ტელეფონები და სხვა.

დაცვის უფლებით სრულყოფილად სარგებლობის შესაძლებლობა არ მიეცათ. ხშირ შემთხვევაში იკვეთებოდა, რომ პირის დამკავებელი პოლიციელების ნაცვლად დაკავების ოქმებს ხელს სხვა სამართალდამცავები აწერდნენ. საბოლოოდ, სასამართლომ დისპროპორციული სახდელები დანიშნა, რამაც მოსამართლის მოტივაციასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები გააჩინა.[15]

საბოლოო ჯამში, სასამართლო განხილვებმა კიდევ ერთხელ შეახსენა საზოგადოებას საბჭოთა პერიოდში მიღებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ხარვეზები, რომლის შეცვლასაც სახალხო დამცველი წლებია ითხოვს. 2019 წელს სახალხო დამცველმა სასამართლო მეგობრის მოსაზრებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსაც მიმართა და მიუთითა, რომ სასამართლო პრაქტიკა ამ მიმართულებით კონსტიტუციურ სტანდარტებს არ აკმაყოფილებს. კერძოდ, სასამართლო პრაქტიკა არ უზრუნველყოფს უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას, არ ანაწილებს მტკიცების ტვირთს და არ ადგენს დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების ვალდებულებას.[16]

სიცოცხლის უფლება

სიცოცხლის უფლების დაცვის ჭრილში 2019 წელი მკვეთრად უარყოფითად უნდა შეფასდეს. სამწუხაროდ, გასულ წლებში გახმაურებულ საქმეებზე დასმულ შეკითხვებს პასუხები ვერც მიმდინარე წელს გაეცა, პარალელურად კი გამოიკვეთა ახალი პრობლემური საქმეები, რომელშიც სახელმწიფოს პასუხისმგებლობა წარმოჩინდა.

- თემირლან მაჩალიკაშვილის საქმე

პროკურატურა 2 წლის განმავლობაში უშედეგოდ იძიებდა თემირლან მაჩალიკაშვილის მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების სავარაუდო გადამეტების ფაქტს, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველის განსაკუთრებული ინტერესის საგანია.[17] პროკურატურამ 2019 წლის მაისში საჯაროდ განაცხადა, რომ გამოძიება დასკვნით ეტაპზე იყო და უახლოესი 2 თვის განმავლობაში დასრულდებოდა,[18] თუმცა გამოძიება 2020 წლის 25 იანვრამდე გაგრძელდა.[19]

მოცემული საქმის გამოძიება ისე წარიმართა და შეწყდა, რომ თემირლან მაჩალიკაშვილის ოჯახის არც ერთი წევრი არ ყოფილა ცნობილი დაზარალებულის უფლებამონაცვლედ.

---

[15] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < https://bit.ly/39dRFAF > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 თებერვალს]

[16] სარჩელზე „საქართველოს მოქალაქე - ზურაბ ჯაფარიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[17] მოცემულ საქმეზე საუბარია საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც, გვ. 32-33. იხ. <http://www.ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf >, ასევე, 2017 წლის საპარლამენტო ანგარიშში, გვ. 37-40, იხ. < https://drive.google.com/file/d/1gcWDvqloj-PTKW5FWBczRKSLdQrKkoO9/view >

[18] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://pog.gov.ge/news/saqarTvelos-prokuraturis-gancxadeba_16d6c4865> [ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 თებერვალს]

[19] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < http://pog.gov.ge/news/brifingi-Tbilisis-prokuraturashi > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 თებერვალს]

შესაბამისად, ოჯახის წევრებს და მათ ადვოკატებს არ მიეცათ საქმის მასალების სრულად გაცნობის შესაძლებლობა.

ჯერ კიდევ 2018 წელს სახალხო დამცველი მიზანშეწონილად მიიჩნევდა, საქართველოს პარლამენტს გამოეყენებინა ყველა შესაძლო საზედამხედველო ბერკეტი მოცემული საქმის გარშემო ჭეშმარიტების დროულად დადგენის მიზნით[20] და რეკომენდაციით მიმართავდა პარლამენტს განეხილათ დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესაძლებლობა.[21]

საქმის შეწყვეტის შემდეგ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი გაეცნო მასალებს. შესწავლის შედეგად დგინდება რომ, დაკავების ღონისძიების მიმდინარეობისას კომუნიკაციისთვის გამოიყენებოდა ხელის რადიო სადგური (რაცია). აღსანიშნავია, რომ გამოძიების პროცესში არ არის მოპოვებული რაციის ჩანაწერები, რაც საქმისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინფორმაცია შეიძლება იყოს ღონისძიების ამსახველი ვიდეო/აუდიო/ფოტო მასალის არარსებობის პირობებში.

ასევე გამოძიებას არ აქვს მოპოვებული ოპერაციის განხორციელებაზე და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირების[22] მიერ სპეცოპერაციების პერიოდში ერთმანეთს შორის სატელეფონო კომუნიკაციის, ზარების, მოკლე ტექსტური შეტყობინებების, სატელეფონო პროგრამებისა და სოციალური ქსელების საშუალებით განხორციელებული ნებისმიერი კომუნიკაციის ამსახველი ინფორმაციის მოპოვება/გამოთხოვა.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აუცილებელია თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტზე შეწყვეტილი გამოძიების განახლება, რადგან კვლავ დაუდგენელია და ღია რჩება ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც ეფექტიანი გამოძიების საერთაშორისო სტანდარტიდან გამომდინარე დამატებით გამოძიებას საჭიროებენ. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს, რომლითაც თემირლან მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტზე წარმოებულ სისხლის სამართლის N043261217801 საქმეზე გამოძიების განახლება მოითხოვა.

დეპარტამენტი კვლავ გააგრძელებს აღნიშნული საკითხის დამატებით შესწავლას და მიაწოდებს საზოგადოებას მომავალში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციას.

- ხორავას ქუჩაზე მომხდარი არასრულწლოვნების მკვლელობა

[20] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 32-33.
[21] იქვე, გვ. 38.
[22] გამოძიებას მოპოვებული აქვს 21.10.2019 წლის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, იოსებ გოგაშვილის ტელეფონის ნომრის 2017 წლის 25-27 დეკემბრის სატელეფონო ზარების, სმს, ინტერნეტ-ტრაფიკის, კომუნიკაციაში მონაწილე პირებისა და ანძების ამსახველი ინფორმაცია სატელეფონო ნომრის თბილისის ანძებზე დაფიქსირების მონაცემებით (31.10.2019 დათვალიერების ოქმი).

2017 წელს 1 დეკემბერს ხორავას ქუჩაზე მომხდარი ორი არასრულწლოვნის მკვლელობის ფაქტზე 2019 წლის 3 ივნისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენმა დაადასტურა, რომ გამოძიებამ ყველა პასუხისმგებელი პირი ვერ გამოავლინა, რაც სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმის მასალების 2018 წლის ზაფხულში შესწავლის შედეგად გამოიკვეთა. სახალხო დამცველმა მიუთითა, რომ გამოძიებამ არ ჩაატარა ან დაგვიანებით ჩაატარა მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები, რამაც არსებითი ნეგატიური გავლენა იქონია დამნაშავეთა გამოვლენაზე.

სამწუხაროდ, ამ დრომდე პროკურატურამ არ გაითვალისწინა სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაცია - დაწყებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგების საზოგადოებისთვის მიწოდებისა და შემოწმების მასალების სახალხო დამცველის აპარატისთვის გაცნობის შესახებ; არ დაწყებულა მსჯელობა სამოხელეო დანაშაულის მუხლით გამოძიების დაწყების მიზანშეწონილობაზე.[23] პროკურატურას სამსახურებრივი მოკვლევა ამ დრომდე არ დაუსრულებია,[24] შესაბამისად, მოკვლევის შედეგები ამ დრომდე უცნობია.

- ია კერზაიას საქმე

საანგარიშო წელს დაიწყო და უშედეგოდ დასრულდა ზუგდიდის N65 საჯარო სკოლის დირექტორის, ია კერზაიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიება. გარდაცვალებამდე ია კერზაია საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში მასზე განხორციელებულ ზეწოლაზე საუბრობდა.

დეპარტამენტმა ეფექტიანი გამოძიების ევროპული სტანდარტების ჭრილში შეისწავლა ია კერზაიას გარდაცვალების ფაქტზე ჩატარებული გამოძიების მასალები და დაადგინა, რომ აღნიშნული საქმეში გამოვლინდა არაერთი სისტემური ხარვეზი, რომელიც პროკურატურის საქმიანობაში ხშირად იკვეთება. სახალხო დამცველმა სპეციალურ განცხადებაში მიუთითა, რომ დაგვიანებით დაწყებული გამოძიების გამო საქმისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულების მოპოვება და სიმართლის დადგენა ვერ მოხერხდა.[25]

გარდა ამისა, სახალხო დამცველმა მიუთითა, რომ მიუღებელი იყო საქმეზე გამოძიების დაწყებამდე საპროცესო მოქმედებების არაფორმალურად ჩატარება, პროკურატურამ სხვადასხვა ინფორმაცია ისედაც დაგვიანებული გამოძიების პირობებში დამატებითი დაგვიანებით გამოითხოვა. არაერთგვაროვანი პოზიცია წარმოჩინდა დაზარალებულის/დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსთან დაკავშირებითაც.

- შეწყალების საქმეები

[23] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 37-38.
[24] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 9 დეკემბრის N13/86091 წერილი.
[25] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < https://bit.ly/2v7ZMQF > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 თებერვალს].

საქართველოს პრეზიდენტის მიერ მსჯავრდებულთა შეწყალების პროცესმა არაერთი შეკითხვა გააჩინა საზოგადოებაში. შეწყალებულთა შორის იყვნენ პოლიციელ თარაშ მუკბანიანის, ასევე მოქალაქე დავით ოთხმეზურის მკვლელობისთვის მსჯავრდებული პირები.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან და სასამართლოებიდან მოპოვებული ინფორმაციით დადგინდა, რომ პრეზიდენტმა 2018 წლის 17 დეკემბრიდან 2019 წლის 9 ოქტომბრის ჩათვლით სულ 91 პირი შეიწყალა,[26] მათ შორის, განზრახ მკვლელობისთვის მსჯავრდებული პირები.

დეპარტამენტმა, ადამიანის უფლებების პრიზმიდან, გააანალიზა მკვლელობისთვის მსჯავრდებული პირების შესახებ მიღებული დოკუმენტები და დადგინდა, რომ აღნიშნულმა პირებმა, სასჯელის მნიშვნელოვანი ნაწილის მოუხდელად დატოვეს პენიტენციური დაწესებულება, კერძოდ, მსჯავრდებულ ა.ბ.-ს განსაზღვრული ჰქონდა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც მოიხადა დაახლოებით 2 წელი და 2 თვე. შეწყალების საფუძველზე გათავისუფლდა 6 წლითა და 10 თვით ადრე; რ.დ.-ს განსაზღვრული ჰქონდა 12 წლით თ/აღკვეთა, მოიხადა დაახლოებით 4 წელი და 8 თვე. შეწყალებულ იქნა 7 წლითა და 4 თვით ადრე; ზ.ნ.-ს განსაზღვრული ჰქონდა 15 წლით თ/აღკვეთა. მოიხდა დაახლოებით 11 წელი და 5 თვე. შეწყალებულ იქნა 3 წლითა და 7 თვით ადრე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, შეწყალების უფლებამოსილება მჭიდროდ უკავშირდება სიცოცხლის უფლების დაცვის პროცედურულ ვალდებულებას.[27] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, სიცოცხლის უფლება დარღვეული იქნება, თუ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები არაგონივრულ ლმობიერებას გამოიჩენენ მკვლელობისთვის მსჯავრდებულ პირთა მიმართ,[28] რაც მათ ფაქტობრივ დაუსჯელობაში გამოიხატება.[29]

შეწყალების პროცესთან დაკავშირებით გაჩენილი შეკითხვების საპასუხოდ პროკურატურამ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო ბოროტად გამოყენების ფაქტზე გამოძიება დაიწყო.[30] გამოძიება შეწყალების პროცესში სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო ბოროტად გამოყენების ფაქტზე მიმდინარეობს,

---

[26] საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 2019 წლის 9 ოქტომბრის N7974 წერილი.

[27] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < https://bit.ly/2OzISRT > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 თებერვალს]

[28] იხ. მაგ.: ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ, 25091/07, პარ. 269-275; Ali and Ayşe Duran v. Turkey, 42942/02, პარ. 69.

[29] იხ. მაგ.: Marguš v. Croatia, 4455/10, პარ. 127.

[30] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 30 ოქტომბრის N13/76397 და 2020 წლის 13 იანვრის N13/1424 წერილები.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა

ძირითადი ტენდენციები

სახალხო დამცველისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ადვოკატირების შედეგად, 2019 წლის 1 ნოემბრიდან ქვეყანაში ამოქმედდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ფუნქცია.[31] დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ამოქმედების საჭიროებას ქვეყნის საგამოძიებო ორგანოების წინაშე არსებული მწვავე გამოწვევები განაპირობებდა. პროკურატურა, რომელსაც კვლავაც რჩება 1 ნოემბრამდე ჩადენილი არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოძიების ექსკლუზიური უფლებამოსილება, ხშირ შემთხვევაში ვერ ახერხებდა ეფექტიანი გამოძიების სტანდარტების დაკმაყოფილებას. სახალხო დამცველი განსაკუთრებულ აქცენტებს წლების მანძილზე სწორედ არასათანადო მოპყრობის არაეფექტიან გამოძიებებზე სვამდა. მათ შორის, 2019 წელს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის მიერ შესწავლილ იქნა წლების მანძილზე უშედეგოდ დასრულებული რამდენიმე ათეული სისხლის სამართლის საქმე და შესწავლის საკმაოდ მძიმე შედეგები აისახა სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში.[32]

სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ სახელმწიფო ინსპექტორის აპარატი მასზე დაკისრებულ ამ ახალ, უმნიშვნელოვანეს საგამოძიებო ფუნქციას სათანადოდ გაართმევს თავს.

კვლავ თვალსაჩინო პრობლემად რჩება გამოძიების გაჭიანურების სისტემატიურობა. ადამიანის უფლებების დაცვაზე ეფექტიანი მონიტორინგის მიზნით, სახალხო დამცველმა პარლამენტს მიმართა და განსაკუთრებული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების დასრულებამდე მასალების გაცნობის უფლებამოსილების მინიჭება მოითხოვა.[33] მანდატის გაზრდის საჭიროება პროკურატურის მიერ ზედაპირული და შაბლონური პასუხების მოწოდებამაც განაპირობა. პროკურატურამ დამკვიდრებული პრაქტიკა პარლამენტის მიერ განსაზღვრული ვალდებულების მიუხედავად არ შეცვალა. 2019 წლის 20 სექტემბრის დადგენილებით[34] (N5003- Iს) პარლამენტმა პროკურატურის

---

[31] ინსპექტორის მანდატში ექცევა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, აგრეთვე მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის, ძალადობით ჩადენილი სამოხელეო დანაშაული და სხვა დანაშაულები, რომელმაც პირის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია და რომლის ჩადენის დროს ეს პირი იმყოფებოდა სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ. „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხ. 19, პუნქტ. 1.

[32] ხსენებულ სპეციალურ ანგარიშზე საუბარი იქნება ამავე დოკუმენტის შემდეგ თავში: „სპეციალური ანგარიშები".

[33] მოქმედი საკანონმდებლო მოწესრიგებით, სახალხო დამცველს გამოძიების მიმდინარეობის ეტაპზე არ აქვს საქმის მასალებზე წვდომის შესაძლებლობა, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 18, ქვეპ. „ე". უფლებამოსილების გაზრდის მოთხოვნით სახალხო დამცველმა პარლამენტს 2018 წლის 29 ნოემბერს მიმართა. სამწუხაროდ, პარლამენტმა არ გაიზიარა სახალხო დამცველის პოზიცია.

[34] დადგენილების მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი.

ორგანოებს დაავალა, დაინტერესების შემთხვევაში საქართველოს სახალხო დამცველს, კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში მიაწოდოს ინფორმაცია, მათ შორის, შესაბამისი თარიღების მითითებით იმ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების შესახებ, რომლებიც არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეებზე ჩატარდა. თუმცა, უშედეგოდ.[35]

2019 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გაიგზავნა 76 წერილი. აქედან მიმართვის ადრესატი 67 შემთხვევაში იყო გენერალური პროკურატურა, ხოლო 9 შემთხვევაში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური.[36]

ხსენებულ 76 შემთხვევაში სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესაძლო განმახორციელებელი სუბიექტები იყვნენ: პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები 12 შემთხვევაში; შსს-ის თანამშრომლები - 62 შემთხვევაში; ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თანამშრომლები - 2 შემთხვევაში.

ამ 76 შემთხვევიდან 46 საქმეზე სახალხო დამცველის აპარატი იყო საგამოძიებო უწყებისთვის სავარაუდო დანაშაულებრივი ფაქტის შესახებ ინფორმაციის პირველადი მიმწოდებელი, ხოლო სხვა 30 შემთხვევაში საგამოძიებო უწყება უკვე ფლობდა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაციას და სახალხო დამცველის აპარატის ჩართულობა განმცხადებლისთვის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვებაში დახმარებით შემოიფარგლა.

ზემოთ ხსენებული 46 საქმიდან (ზოგიერთი წერილი ეხებოდა ორ ან მეტ პირს) 7 შემთხვევაში/სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ეპიზოდზე გამოძიება არ დაიწყო. შვიდივე შემთხვევა ეხებოდა პოლიციელის მხრიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობას. აქედან 4 შემთხვევაში არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტის შესახებ ინფორმაცია მიწოდებული იყო პროკურატურისთვის და სწორედ პროკურატურამ არ მიიჩნია ინფორმაცია გამოძიების დაწყებისთვის საკმარისად, ხოლო სამ შემთხვევაში - სახელმწიფო ინსპექტორის აპარატმა. აქვე აღსანიშნავია, რომ 2 შემთხვევაში (მათ შორის, სახელმწიფო ინსპექტორის აპარატისთვის მიწოდებული საქმე) საგამოძიებო უწყების მიერ სახალხო დამცველის აპარატს განემარტა, რომ განმცხადებლებმა გამოკითხვისას უარყვეს არასათანადო მოპყრობის ფაქტები და ეს გახდა გამოძიების დაწყებაზე უარის თქმის საფუძველი. ხოლო დამატებით ორ ფაქტზე ინსპექტორის სამსახურის მიერ სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა, რომ სავარაუდო მსხვერპლებთან დაკავშირება და მათთან ინფორმაციის დაზუსტება ვერ მოხერხდა. თუმცა, გამოძიება არც ამ შემთხვევაში დაიწყო.

[35] მაგალითად, 2019 წლის 11 ნოემბრის N15-3/12181 და N15- 3/12177 წერილებზე, გენერალური პროკურატურის 2019 წლის 21 ნოემბრის N13/81836 და N13/81943 წერილებით აპარატს არ მიეწოდა მოთხოვნილი სრულყოფილი ინფორმაცია. მსგავსი პრაქტიკა იყო წინა წლებშიც.

[36] სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო მანდატი ვრცელდება მხოლოდ 2019 წლის 1 ნოემბრის შემდეგ ჩადენილ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე.

სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს გენერალური პროკურატურიდან და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიდან ასევე მოიპოვე ზოგადი სტატისტიკური მონაცემები არასათანადო მოპყრობის საქმეებზე. უწყებებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად 2019 წელს: პროკურატურამ[37] გამოძიება დაიწყო პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე 18 საქმეზე (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[3] მუხლით - 2 ფაქტზე, 333-ე მუხლით - 16 ფაქტზე), რომელთაგან არცერთ საქმეზე დაწყებულა სისხლისსამართლებრივი დევნა და არც გამოძიება შეწყვეტილა; პოლიციის თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე 298 საქმეზე (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[1] მუხლით - 1 ფაქტზე, 144[3] მუხლით - 9 ფაქტზე, 333-ე მუხლით - 288 ფაქტზე), რომელთაგან სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 4 პირის მიმართ, ხოლო გამოძიება შეწყდა 31 სისხლის სამართლის საქმეზე.[38]

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში[39] საგამოძიებო ფუნქციის ამოქმედებიდან - 2019 წლის 01 ნოემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით გამოძიება დაიწყო 68 საქმეზე: პოლიციელების მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტზე 62 საქმეზე (1 საქმეზე - სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლით, 61 საქმეზე - 333-ე მუხლით (3 საქმეზე შეიცვალა კვალიფიკაცია სსკ-ის 144[3] მუხლით და 2 საქმეს დაემატა კვალიფიკაცია სსკ-ის 335-ე მუხლით)), რომელთაგან სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ, დაზარალებულად ცნობილია 1 პირი, დაზარალებულის უფლებამონაცვლედ - 1 პირი; პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ პატიმართა მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო 1 საქმეზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა გარდაცვალების ფაქტზე გამოძიება დაიწყო 3 საქმეზე სსკ-ის 342-ე მუხლის მეორე ნაწილით. სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა და დაზარალებულად არავინ არის ცნობილი; სხვა სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელთა მხრიდან განხორციელებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე დაიწყო გამოძიება 2 საქმეზე საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით.

სახალხო დამცველი ყურადღებით დააკვირდება ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის შედეგებსა და კონკრეტული ფაქტების გამოძიების ეფექტიანობას.

[37] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 22 იანვრის N13/3774 წერილი.
[38] დაზარალებულად ცნობის სტატისტიკა პროკურატურამ სახალხო დამცველის აპარატს არ მიაწოდა.
[39] საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2020 წლის 09 იანვრის NSIS32000000264 წერილი.

კონკრეტული საქმეების გამოძიება

საანგარიშო წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოიკვეთა ცალკეულ საქმეებშიც:

- ლ. ს.-ს საქმე

10 და 11 დეკემბერს დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის პირველ განყოფილებაში გამომძიებელთან გამოკითხვაზე ყოფნის შემდეგ, არასრულწლოვანმა ლ. ს.-მ თავი მოიკლა. გაწეული სამედიცინო დახმარების მიუხედავად, არასრულწლოვანი 17 დეკემბერს გარდაიცვალა. არასრულწლოვნის ოჯახის ადვოკატის განმარტებით, ბავშვი პოლიციელთა მხრიდან ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი გახდა.

საქმეზე ჩვენების მიცემის იძულების ბრალდებით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა გამომძიებელი მ. ჩ. დააკავა. დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ლ.ს.-ს დედაა ცნობილი, ასევე დაზარალებულად იქნა ცნობილი არასრუწლოვანი თ.ზ. სხვა პირთა პასუხისმგებლობის დადგენის მიზნით გამოძიება გრძელდება.[40]

სახალხო დამცველი მომხდარ შემთხვევას კომპლექსურად სწავლობს. მისასალმებელია, რომ მონიტორინგის მიზნით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა სახალხო დამცველის აპარატს საგამონაკლისოდ გამოძიების მასალებზე წვდომა მიანიჭა.[41]

- თ. ა.-ს საქმე

არასრულწლოვანი თ. ა. 2019 წლის 13 თებერვალს ბოლნისის რაიონული პოლიციის მხრიდან მის მიმართ ფიზიკური ძალადობის ფაქტზე მიუთითებდა. მისი მტკიცებით, სხეულის სხვა დაზიანებებთან ერთად, მან ზედა კიდურის მოტეხილობა მიიღო. თ. ა.-ს საქმესთან დაკავშირებით სახალხო დამცველის აპარატმა ორჯერ მიმართა გენერალურ პროკურატურას.[42]

საქართველოს გენერალური პროკურატურის ცნობით[43], დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე ბრალი ერთ პირს - შსს ბოლნისის რაიონული სამმართველოს თანამშრომელს კ. ქ.-ს წარედგინა.[44] ამჟამად, საქმის არსებითი განხილვა რუსთავის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს.

- ბ. მ.-ს საქმე

არასრულწლოვნის ბ. მ. განმარტავდა, რომ 2019 წლის 20 აგვისტოს პოლიციის თანამშრომლებმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, ემუქრებოდნენ

---

[40] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2019 წლის 24 დეკემბრის N SIS 0 19 00007383 წერილი.

[41] სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი მოცემულ საქმის მასალებს, საგამონაკლისო წესით, სწავლობს. მასალების შესწავლის მიზნით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში ვიზიტები გახორციელდა 13, 14, 16, 17, 20, 22 და 29 იანვარს. გამოძიება ამ ეტაპზეც გრძელდება. საქმის შესწავლის შედეგები საზოგადოებას დამატებით მოგვიანებით წარედგინება.

[42] 2019 წლის 11 მარტს და 22 მარტს.

[43] საქართველოს გენერალური პროკურატურის N13/26182, N13/52197, N13/72222 და N13/4074 წერილები.

[44] სსკ-ის 144[3] მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით.

სიცოცხლის მოსპობით და სთხოვდნენ იმ პირის მკვლელობის აღიარებას, რომელიც მოგვიანებით ცოცხალი აღმოჩნდა. ბ. მ. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის თანამშრომელმა მოინახულა. შეხვედრის მომენტში მას მრავლობითი დაზიანებები აღენიშნებოდა.

სახალხო დამცველის აპარატმა რეაგირებისთვის გენერალურ პროკურატურას მიმართა. უწყების პასუხით[45], ამ ეტაპზე გამოძიება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების კვალიფიკაციით,[46] ბ.მ.-ს დაზარალებულად ცნობისა და კონკრეტულის პირის ბრალდების გარეშე მიმდინარეობს.

ნიშანდობლივია, რომ საქმისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მტკიცებულება - სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა 2019 წლის 31 ოქტომბერს მომზადდა, თუმცა, პროკურატურამ დასკვნა ექსპერტიზის ბიუროდან ორი თვის მანძილზე[47] არ გაითხოვა და შესაბამისად, არ გამოიყენა ეფექტიანი გამოძიების მიზნებისთვის.[48] დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ექსპერტიზის ბიურო, როგორც წესი, ელოდება საგამოძიებო უწყების მიერ მომზადებული დასკვნის გათხოვას და შესაბამისად, სწორედ გამოძიების მწარმოებელი უწყება უნდა იყოს მოწოდებული რაც შეიძლება მალე მიიღოს გამოძიებისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი დოკუმენტი.

- ლ. ბ.-ს საქმე

სახალხო დამცველის აპარატმა, საკუთარი ინიციატივით დაიწყო, ლ. ბ.-ს საქმის შესწავლა. საჯაროდ გავრცელებული ცნობებით დგინდებოდა, რომ მის მიმართ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან განხორციელდა სავარაუდო არასათანადო მოპყრობა.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად[49], გამოძიება ინტენსიურად მიმდინარეობს. ამ ეტაპზე ლ.ბ. დაზარალებულად არ არის ცნობილი, ხოლო რომელიმე სამართალდამცავის მიმართ არ არის დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნა.

- მ.წ.-ს საქმე

სახალხო დამცველი, ასევე საკუთარი ინიციატივით სწავლობს, მ.წ.-ს მიმართ პოლიციის თანამშრომლის მხრიდან განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის საქმეს, რის შედეგადაც მ.წ. გარდაიცვალა.

---

[45] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 26 აგვისტოს N13/61384, 2019 წლის 25 ნოემბრის N13/82542 და 2020 წლის 16 იანვრის N13/2388 წერილები.

[46] სსკ-ის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი.

[47] იმ დროისთვის, როდესაც სახალხო დამცველის აპარატმა მოიპოვა ინფორმაცია, ფიქსირდებოდა ორ თვიანი გაჭიანურება. თუმცა, გაითხოვა თუ არა და როდის საგამოძიებო უწყებამ ექსპერტიზის დასკვნა საბოლოოდ - ამ დროისთვის უცნობია.

[48] სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 30 დეკემბრის N5008250319 წერილი.

[49] სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის 2019 წლის 24 დეკემბრის N SIS 7 19 00007380 წერილი.

გენერალური პროკურატურის ცნობით[50], მოცემულ საქმეში ორ პირს ზ.ფ.-სა და ვ.ბ.-ს წარედგინათ ბრალი. ერთი მოქალაქე ცნობილ იქნა დაზარალებულად, ხოლო ერთი - დაზარალებულის უფლებამონაცვლედ. გამოძიება გრძელდება.[51]

- მარნეულის ყოფილი მერის თეიმურაზ აბაზოვის ბრალდების საქმე

ნიშანდობლივია, რომ საანგარიშო წლის განმავლობაში ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული მარნეულის ყოფილი მერის თეიმურაზ აბაზოვის ბრალდების საქმის განხილვა რუსთავის საქალაქო სასამართლოში,[52] რომელსაც აღკვეთის სახით შეფარდებული პატიმრობა გირაოთი 2018 წლის 13 დეკემბერს შეეცვალა. თეიმურაზ აბაზოვს ბრალი ჯგუფურად განხორციელებულ არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასა და პერსონალური მონაცემებისა და პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ხელყოფაში ედებოდა. ბრალდების მიხედვით, იგი მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეს საჯაროდ ბოდიშის მოხდასა და შარდით სახის დაბანას აიძულებდა.

2020 წლის 12 თებერვალს კი რუსთავის საქალაქო სასამართლომ თეიმურაზ აბაზოვი უდანაშაულოდ სცნო. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა უკვე მიმართა სასამართლოს და უახლოეს პერიოდში შეისწავლის საქმის მასალებს სრულად.

გაჭიანურებული სამედიცინო მომსახურება

- პენიტენციური სისტემის მიერ

პატიმრებისთვის ადეკვატური, ხარისხიანი და დროული სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის არარსებობა, რიგ შემთხვევებში, შესაძლებელია გაუთანაბრდეს არასათანადო მოპყრობას. 2019 წელს ერთ-ერთი ყველაზე ხშირად დასახელებადი პრობლემა პენიტენციურ სისტემაში კვლავ არასათანადო და გაჭიანურებული სამედიცინო მომსახურება იყო. მხოლოდ ერთ წელში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტს მიმართა 433 პატიმარმა, რომელიც ამ პრობლემაზე მიუთითებდა.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა არაერთ შემთხვევაში აღმოაჩინა, რომ პატიმრებისთვის სამედიცინო მომსახურების გაჭიანურებას არსებითი

[50] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 23 იანვრის N13/4075 წერილი.

[51] პროკურატურამ განმარტა, რომ საქმეზე გამოძიებას არ აწარმოებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, ვინაიდან დანაშაულში ბრალდებული ერთ-ერთი პირი (სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი), დანაშაულის ჩადენის დროს არ იმყოფებოდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში, აგრეთვე გარდაცვლილი არ იმყოფებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორში, ან პენიტენციურ დაწესებულებაში, ანდა სხვაგვარად სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ, ხოლო მეორე ბრალდებული საერთოდ არ არის საჯარო მოხელე.

[52] რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 5 თებერვლის N159/გ წერილი.

ხასიათი აქვს. ხშირ შემთხვევაში ისინი მომლოდინეთა რიგში თვეებისა თუ წლების განმავლობაში არიან.[53]

დეპარტამენტმა ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაზე მიმართა სამედიცინო დეპარტამენტს, რათა გარკვეულიყო სამედიცინო მომსახურების გაჭიანურების მიზეზები და დაგეგმილი სამედიცინო მომსახურების გეგმის შესახებ ინფორმაცია. სამედიცინო დეპარტამენტი პატიმრებისთვის მომსახურების გაჭიანურების მიზეზად რეფერალის (ერთიანი ელექტრონული ბაზა) გადატვირთულობას, გადაუდებელი სამედიცინო საჭიროების მქონე პატიმრებისთვის დაჩქარებულად/რიგგარეშედ სამედიცინო მომსახურების გაწევას ასახელებს.

- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს მიერ

გარდა პენიტენციურ სისტემაში გაჭიანურებული სამედიცინო მომსახურებისა, პრობლემა გამოიკვეთა პატიმრობაშეფარდებულ ბრალდებულთა მიმართ დანიშნული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების გაჭიანურების მიმართულებითაც.

თვეების განმავლობაში ექსპერტიზის ჩატარების გაჭიანურებამ გამოიწვია ის, რომ ფსიქიატრიული მკურნალობის დაწყების მიზნით სტაციონარში მოთავსება მნიშვნელოვნად დაგვიანდა და კონკრეტული ფსიქიატრიული პრობლემების მქონე პირებს თვეების მანძილზე პენიტენციურ სისტემაში პატიმრობაში ყოფნა უწევდათ.[54]მოცემული

---

[53] მაგალითად, პატიმარი ჟ.გ. ერთ-ერთ სამედიცინო მომსახურებას 14 თვე ელოდებოდა და ბოლოს მიღებული ინფორმაციით ისევ მომლოდინეთა რიგში იყო N244, სხვა სამედიცინო მომსახურებას იგივე პატიმარი 10 თვე ელოდებოდა და მიმდინარე რიგითი ნომერი რეფერალის ელექტრონულ ბაზაში N405-ია (სამედიცინო დეპარტამენტის N157107/01 წერილი). პატიმარი ზ.ს. სამედიცინო მომსახურებას დაახლოებით 16 თვის მანძილზე ელოდებოდა და მიმდინარე ნომერი ჯერ კიდევ N198 იყო (სამედიცინო დეპარტამენტის N30546/01 და N193976/01 წერილები). პატიმარი ვ.ზ. 5 თვის მანძილზე ელოდებოდა მომსახურებას და მიმდინარე ნომერი ჯერ კიდევ N689 არის (სამედიცინო დეპარტამენტის N113074/01). ასევეა, პატიმარ მ.კ.-ს შემთხვევაში, მიმდინარე ნომერი იყო 811, ხოლო მომლოდინეთა რიგში უკვე 5 თვე იმყოფებოდა (სამედიცინო დეპარტამენტის N137575/01). პატიმარი ს.გ. სამედიცინო მომსახურებას ელოდებოდა 20 თვე (სამედიცინო დეპარტამენტის N31803/01 და №345929/01 წერილები). მსჯავრდებულის რიგითი ნომერი რეფერალის ელექტრონულ ბაზაში 2019 წლის ნოემბერში 179 იყო.

[54] 1. ნ.ძ.-ს 2019 წლის 19 სექტემბერს გამომძიებლის დადგენილებით დაენიშნა სასამართლო ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება, რაც ჩაუტარდა 2019 წლის 2 დეკემბერს, 2019 წლის 19 დეკემბერს გაეწერა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან პენიტენციურ დაწესებულებაში და მხოლოდ 2020 წლის 20 იანვარს განხორციელდა იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის მიზნით სტაციონარში მოთავსება - ექსპერტიზის დანიშვნის შემდეგ პენიტენციურ დაწესებულებაში იმყოფებოდა თითქმის 4 თვის მანძილზე. 2. ს.შ.-ს 2019 წლის 9 აგვისტოს გამომძიებლის დადგენილებით დაენიშნა სასამართლო ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება, რაც ჩაუტარდა 2019 წლის 10 დეკემბერს, 2019 წლის 19 დეკემბერს გაეწერა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან პენიტენციურ დაწესებულებაში და მხოლოდ 2020 წლის 17 იანვარს განხორციელდა იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის მიზნით სტაციონარში მოთავსება - ექსპერტიზის დანიშვნის შემდეგ პენიტენციურ დაწესებულებაში იმყოფებოდა 5 თვის მანძილზე. 3. გ.გ.-ს 2019 წლის 7 აგვისტოს გამომძიებლის დადგენილებით დაენიშნა სასამართლო ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება, რაც ჩაუტარდა 2019 წლის 28 ნოემბერს, 2019 წლის 6 დეკემბერს გაეწერა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან პენიტენციურ დაწესებულებაში და მხოლოდ 2019 წლის 27 დეკემბერს განხორციელდა იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის მიზნით სტაციონარში მოთავსება - ექსპერტიზის დანიშვნის შემდეგ

საკითხის დეტალური შესწავლა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტში გრძელდება.

ხარვეზიანი გამოძიების სხვა შემთხვევები

წინამდებარე ქვეთავში განხილული იქნება იმ სისხლის სამართლის საქმეთა მიმდინარეობა, რომელთა გამოძიების სანდოობაზე, ობიექტურობასა და ყოველმხრივობაზე არაერთი კითხვა გაჩნდა საზოგადოებაში.

- „რუსთავი 2"-ის დამფუძნებლების აქიმიძე-დვალის საქმე

2019 წლის 14 ივნისს სახალხო დამცველმა საჯარო განცხადებით[55] მოუწოდა საქართველოს პროკურატურას წარმოედგინა განმარტება რატომ გაჭიანურდა საქმის გამოძიება და რატომ არ იქნა მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილება ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის დამფუძნებლებისთვის ქონებრივი უფლების იძულებით დათმობის ფაქტზე.

იმჟამინდელი მდგომარეობით, სახელმწიფო უწყებებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დგინდებოდა, რომ მოცემული საქმისთვის ერთ-ერთი მნიშნელოვანი მტკიცებულების მიღების მიზნით დანიშნული ექსპერტიზა დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში ვერ დასრულდა, ვინაიდან ექსპერტიზის ბიუროსთვის საქართველოს პროკურატურას საკვლევი მასალები, ამ დრომდე, სრულად არ წარუდგენია.

2018 წლის აპრილში დანიშნული საფინანსო-სასაქონლო ექსპერტიზა ამ დრომდე (2020 წლის თებერვალი) არ დასრულებულა, ვინაიდან ექსპერტიზის ბიუროსთვის პროკურატურას სრულყოფილად ამ დრომდე არ მიუწოდებია საჭირო მასალები.[56]

- ლაშა თორდიას საქმე

2017 წლის 13 მაისს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იმჟამინდელ უფროსის ლაშა თორდიას მიმართ იმჟამინდელი მთავარი პროკურორის ოთარ ფარცხალაძის მხრიდან განხორციელებული შესაძლო დანაშაულებრივი ქმედება - ფიზიკური შეურაცხყოფა - ამ დრომდე არ შეფასებულა სასამართლოს მიერ.

ლაშა თორდიას მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტზე ბრალი წაეყენათ ოთარ ფარცხალაძესა და მ.ჩ.-ს. მათ ბრალი წარდგენილი აქვთ ერთ ეპიზოდში

პენიტენციურ დაწესებულებაში იმყოფებოდა 4 თვის მანძილზე. 4. გ.ფ.-ს 2019 წლის 16 აგვისტოს გამომძიებლის დადგენილებით დაენიშნა სასამართლო ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება, რაც ჩაუტარდა 2019 წლის 31 ოქტომბერს, 2019 წლის 7 ნოემბერს გაეწერა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან პენიტენციურ დაწესებულებაში და მხოლოდ 2019 წლის 22 ნოემბერს განხორციელდა იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის მიზნით სტაციონარში მოთავსება - ექსპერტიზის დანიშვნის შემდეგ პენიტენციურ დაწესებულებაში იმყოფებოდა 3 თვის მანძილზე.

[55] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე < https://bit.ly/31vqAXg > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 თებერვალს]

[56] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 23 იანვრის N13/4107 წერილი და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 23 იანვრის N5000396120 წერილი.

მონაწილეობისთვის, თუმცა პროკურატურის პოზიციით, მათ მიერ ჩადენილი ქმედება - ძალადობა - არ იყო ჩადენილი ჯგუფურად.

მოცემულ საქმეზე ამ დრომდე არ დამდგარა სასამართლო განაჩენიც. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმე არსებითი განხილვისთვის 2019 წლის 30 იანვარს შევიდა.[57]

თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება განსაკუთრებით რელევანტური სხვადასხვა დროს გამართული მასშტაბური საპროტესტო აქციების დროს ხდებოდა რელევანტური, რაც სახალხო დამცველის არაერთი განცხადებისა და წინამდებარე ანგარიშში ცალკე განხილვის საგანი გახდა.[58] თუმცა, აღნიშნული უფლების ხელყოფა ხდებოდა განყენებული შემთხვევების დროსაც. განსაკუთრებულ პრობლემად უნდა ჩაითვალოს საქართველოს პარლამენტის წევრთა მიმართ გამოვლენილი დამოკიდებულება ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენელთა მიერ, აგრეთვე წინა წლების ისეთი სამწუხარო ტენდენციების გაგრძელება, როგორიცაა განსახილველი უფლების დარღვევებზე არაეფექტიანი გამოძიების წარმოება და მოქალაქეებისთვის საზღვრის კვეთის უფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

- პარლამენტის წევრთა უკანონო დაკავების გამოძიება

საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშში მითითებულია პოლიციელების მიერ საქართველოს პარლამენტის წევრის - ნიკანორ მელიას ადმინისტრაციული წესით უკანონო დაკავების შესახებ.[59] აღნიშნულ ფაქტზე დაწყებული გამოძიება 2019 წლის 24 მაისს შეწყდა, ხოლო სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმის მასალების შესწავლის შედეგად არაერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი გამოიკვეთა.

კერძოდ, გამოძიებამ ვერ დაადგინა, ჰქონდა თუ არა ადგილი ნიკანორ მელიას განზრახ უკანონო დაკავებას. იმის გასარკვევად, ცნობილი იყო თუ არა პოლიციელებისთვის მისი დეპუტატის სტატუსის შესახებ, გამოძიება პოლიციელთა გამოკითხვით შემოიფარგლა. გამოძიების ფარგლებში არ მოპოვებულა ინფორმაცია დამკავებელი პირის მიერ პარლამენტის ვებგვერდზე გადამოწმების ფაქტისა და დროის თაობაზე. ასევე არ მოპოვებულა ინფორმაცია სამინისტროს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისა და პოლიციელის სატელეფონო ზარის განხორციელებისა და დროის თაობაზე, რაც მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენდა. შესაბამისად, შესაძლებელია გამოძიების განახლება და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვების გზით, მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების გადამოწმება, რომლის შედეგადაც დადგინდება ჰქონდა თუ არა უფლებამოსილების გადამეტებას შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა მხრიდან.

---

[57] 2019 წლის 26 დეკემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს N1/295-19 წერილი.
[58] იხ. წინამდებარე ანგარიშის შესაბამისი თავი.
[59] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, 86-87.

საგულისხმოა, რომ პარლამენტის წევრის უკანონო დაკავებას ადგილი ჰქონდა საანგარიშო წელსაც. კერძოდ, 2019 წლის 26 ნოემბერს პოლიციელებმა დააკავეს და მოგვიანებით გაათავისუფლეს დეპუტატები: გიორგი ბოკერია და თენგიზ გუნავა,[60] ხოლო 2019 წლის 29 ნოემბერს - დეპუტატი გიორგი კანდელაკი.[61] შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ დრომდე არ მოუწოდებია ამ მიმართულებით აპარატის მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია.[62]

- აღკვეთის ღონისძიების სახით დამატებითი ვალდებულებების დაკისრება

საქართველოს სახალხო დამცველმა 2019 წლის 28 ნოემბერს სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, რათა სასამართლოს ჯეროვნად შეეფასებინა ნიკანორ მელიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული დამატებითი ვალდებულებების პროპორციულობა საპარლამენტო მანდატთან მიმართებით.[63]

სასამართლოს წინა განჩინებებით, დეპუტატს აეკრძალა საპარლამენტო საქმიანობის შემადგენელი არაერთი უფლებამოსილება. ისეთი ქმედებაც კი, როგორიცაა პარლამენტის ადმინისტრაციულ შენობაში მისვლა, ნიკანორ მელიას მხოლოდ გენერალური პროკურატურის კეთილი ნების საფუძველზე შეეძლო. პარლამენტის წევრს აეკრძალა საჯარო თავშეყრის ადგილზე საჯარო განცხადებების გაკეთება, ხოლო სატელევიზიო ეთერში მისვლის გამო პროკურატურისგან გაფრთხილება მიიღო.

სახალხო დამცველმა, ვენეციის კომისიის ანგარიშებისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით, მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა კონსტიტუციითა და კანონმდებლობით დაცული საპარლამენტო მანდატის განსაკუთრებული არსი და დამატებითი ვალდებულებების დაკისრებისას მხედველობაში ჰქონოდა ის როლი, რომელსაც წარმომადგენლობით დემოკრატიაში თითოეული პარლამენტარი ასრულებს. სახალხო დამცველის შეფასებით, გირაოს მოქმედების პერიოდში, პარლამენტის წევრს უნდა შეეძლოს საცხოვრებელი სახლიდან პარლამენტში თავისუფლად მისვლა და საჯარო განცხადებების გაკეთება.

თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნულ მოსაზრებაში მითითებულ საკითხებზე მსჯელობა ვერ შეძლო, რადგან ნიკანორ მელიას სხვა სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე საპარლამენტო უფლებამოსილება შეუწყდა.

- ივანე მერაბიშვილის საქმე

---

[60] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://netgazeti.ge/news/409252/> [ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 თებერვალს]

[61] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://netgazeti.ge/news/410284/> [ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 თებერვალს]

[62] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 11 დეკემბრის NMIA01903325011 წერილი.

[63] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < https://bit.ly/2OyUSTK > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 თებერვალს]

2019 წლის სექტემბერ-ოქტომბერში სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე 2018 წლის 12 ივლისს განახლებული გამოძიების მასალები, ივანე მერაბიშვილის საკნიდან გაყვანისას, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების შესახებ. საქმის მასალების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ გამოძიებას არაერთი კრიტიკული ხარვეზი აღენიშნება, რის გამოც მინისტრთა კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაცია შესრულებულად ვერ ჩაითვლება.

კერძოდ, გამოძიების ფარგლებში არ გამოკითხულა ერთ-ერთი საკვანძო მოწმის მიერ დასახელებული ყველა პირი, მათ შორის, მოქმედი და ყოფილი მაღალი თანამდებობის პირები; სრულიად აუხსნელი მიზეზით არ ჩატარდა ივანე მერაბიშვილის მიერ აღწერილი სავარაუდო დამნაშავეების სახობრივი კომპოზიცია (facial composition), რათა მოგვიანებით შესაძლებელი გამხდარიყო სხვა მოწმეების მიერ დასახელებულ სავარაუდო დამნაშავეთა აღწერილობასთან მათი შედარება და ამოცნობა. გამოძიების პერიოდში არ გამოკითხულა პირი, რომელმაც სხვა საქმეზე მიმდინარე სასამართლო პროცესის ფარგლებში განაცხადა, რომ ჰქონდა ინფორმაცია მოცემულ დანაშაულთან დაკავშირებით.

რაც ყველაზე საგანგაშოა, სატელეფონო საუბრის ამსახველი ჩანაწერები ცალსახად ეწინააღმდეგება ერთ-ერთი მოწმის (რომელსაც სხვა პირები დანაშაულის ამსრულებლად ასახელებდნენ) და მისი ოჯახის წევრების ჩვენებებს. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიებას რამდენიმე თვის განმავლობაში გააჩნდა ეს ინფორმაცია, რაიმე ნაბიჯი, თუნდაც აღნიშნული პირების განმეორებით დაკითხვის სახით, არ გადადგმულა.

შესაბამისად, მერაბიშვილის საქმეზე განახლებული გამოძიება ეფექტიანად ვერ ჩაითვლება. გამოძიების მიმდინარეობის შესწავლის შედეგების შესახებ დეტალური ინფორმაცია სახალხო დამცველმა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მინისტრთა კომიტეტს 2020 წლის 24 იანვრის კომუნიკაციის დოკუმენტით მიაწოდა.

- საზღვრის კვეთის უფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვა

ისევე, როგორც გასულ წლებში,[64] საანგარიშო წლის განმავლობაში სახალხო დამცველს არაერთმა მოქალაქემ მიმართა, რომელთაც კანონით გათვალისწინებული პროცედურების გარეშე არ ეძლეოდათ საზღვრის გადაკვეთის შესაძლებლობა.

მაგალითად, მოქალაქე თ. შ.-ს არ მიეცა სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის უფლება, იმის მიუხედავად, რომ სასამართლოს მისთვის არ შეუჩერებია პასპორტის მოქმედება და არ შეუზღუდავს სახელმწიფო საზღვრის კვეთა.[65] მოქალაქე ლ. დ.-ს არ მიეცა სახელმწიფო საზღვრის კვეთის შესაძლებლობა იმის მიუხედავად, რომ მის მიმართ არათუ სასამართლო პროცესი, არამედ სისხლისსამართლებრივი დევნაც კი არ იყო დაწყებული.[66] შესაბამისად,

[64] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, 88.
[65] 2019 წლის 4 დეკემბრის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს NMIA 6 19 03250290 წერილი და 2019 წლის 17 დეკემბრის გენერალური პროკურატურის N13/88157 წერილი.
[66] 2019 წლის 09 ოქტომბრის საქართველოს გენერალური პროკურატურის N13/71350 წერილი და 2019 წლის 3 ოქტომბრის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს NMIA 5 19 02629272 წერილი.

სასამართლო განჩინების არარსებობის პირობებში, სახელმწიფო საზღვრის კვეთა აღნიშნულ მოქალაქეებს უკანონოდ შეეზღუდათ.

დამატებით, მოქალაქე დ. მ.-ს შემთხვევაში სახალხო დამცველმა სამსახურებრივი შემოწმების დაწყების წინადადებით მიმართა გენერალურ პროკურატურასა[67] და შინაგან საქმეთა სამინისტროს.[68] თუმცა, აღნიშნული უწყებების მიერ ჩატარებულმა მოკვლევებმა მხოლოდ ის დაადგინა, რომ შესაბამისმა მოხელეებმა პირი გამოსაკითხად დაიბარეს, არ აუკრძალავთ მისთვის სახელმწიფო საზღვრის კვეთა და მანაც ნებაყოფლობით, საკუთარი სურვილის საფუძველზე აღარ გადაკვეთა საზღვარი.[69]

სამართლიანი სასამართლოს უფლება

წინა წლების მსგავსად, 2019 წელს მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოიკვეთა სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის მხრივ. ეს შეეხებოდა როგორც სასამართლოს ადმინისტრირებისა და მოსამართლეთა დაკომპლექტების, ისე - უშუალოდ საერთო სასამართლოებში საქმეთა განხილვის პროცესს. 20-21 ივნისის, 18 ნოემბრისა და სხვა მრავალრიცხოვანი აქციების დროს დაკავებულთა სასამართლო პროცესებმა მორიგ ჯერზე შეახსენა საზოგადოებას, თუ რამდენად ხარვეზიანი, უსამართლო და არაკონსტიტუციურია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის წესი.[70] მნიშვნელოვანი პრობლემები გამოიკვეთა კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებითაც. ნიშანდობლივია ისიც, რომ კვლავ ძალაში რჩება სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში მითითებული არაერთი სისტემური პრობლემა.

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევა

საქართველოს სახალხო დამცველი ყურადღებით აკვირდებოდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცესს როგორც იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, ისე - საქართველოს პარლამენტში. სახალხო დამცველმა, ვენეციის კომისიის, ეუთო-ოდირისა და სხვა საერთაშორისო აქტორების დახმარებით, მოცემული პროცესისთვის დამახასიათებელი არაერთი სიღრმისეული პრობლემა და კონკრეტული კანდიდატებისთვის საგულისხმო ინდივიდუალური ხარვეზები გამოავლინა, ხოლო დაკვირვების შედეგები და რეკომენდაციები სპეციალურ ანგარიშში გამოქვეყნდა.[71] სახალხო დამცველმა მოსამართლეთა შერჩევის წესის არაკონსტიტუციურად ცნობის მიზნით საკონსტიტუციო სასამართლოსაც მიმართა.[72]

---

[67] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 25 მარტის N15-2/3414 წინადადება.
[68] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის 25 მარტის N15-2/3415 წინადადება.
[69] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 16 აპრილის N13/27357 წერილი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 11 აპრილის NMIA 3 19 00931681 წერილი.
[70] იხ. ამავე თავი: „უფლებადარღვევები საპროტესტო აქციებზე".
[71] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < https://bit.ly/2Sq35L1 > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 თებერვალს]
[72] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < https://bit.ly/375ayEw > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 თებერვალს]

სამწუხაროდ, აღნიშნული პროცესი ისე დასრულდა, რომ სახალხო დამცველის, არასამთავრობო სექტორის, საერთაშორისო და სუპრანაციონალური ორგანიზაციებისა და პარტნიორი სახელმწიფოების რეკომენდაციები გათვალისწინებული არ იქნა. შედეგად, არაერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ გააკრიტიკა მოსამართლეთა შერჩევის პროცესი.[73]

როგორც აღინიშნა, 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში მითითებული არაერთი სისტემური და საგანგაშო ტენდენცია 2019 წლისთვისაც დამახასიათებელ პრობლემას წარმოადგენდა:

- საქმის განხილვა გონივრულ ვადაში და განაჩენის ჩაბარება

2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის საქმეთა არსებითი განხილვა ხშირად ჭიანურდება და არაგონივრულად სცდება კანონმდებლობით იმპერატიულად დადგენილ ვადებს.[74] ეს ტენდენცია განსაკუთრებით საგანგაშო იყო სააპელაციო სასამართლოებში, ასევე პატიმართა მიერ გასაჩივრებულ ადმინისტრაციულ საქმეებში. სახალხო დამცველმა ასევე მიუთითა, რომ არაგონივრულად, მათ შორის 5 თვის დაგვიანებით, ჭიანურდებოდა მხარისთვის გადაწყვეტილების ჩაბარება.[75]

მიმდინარე წელს ეს ტენდენცია არ შეცვლილა. მოპოვებული სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, არასაპატიმრო საქმეების დასრულება კანონით განსაზღვრულ ვადაში მხოლოდ გორის რაიონულმა სასამართლომ შეძლო.[76] განსაკუთრებით გამოსარჩევია ბათუმის საქალაქო სასამართლო, რომელმაც 6 შემთხვევაში მსჯავრდებულს გამამტყუნებელი განაჩენი სამიდან ხუთ თვემდე ვადის დაგვიანებით გადასცა.[77] აღნიშნულ პირთა შორის იყო მსჯავრდებული ზ. ბ., რომლის საქმე სახალხო დამცველის აპარატმა ინდივიდუალურად შეისწავლა და ვადის 6 თვით დაგვიანება გამოავლინა. ზ. ბ.-ს საქმის განხილვა კანონით გათვალისწინებულზე 4 თვით მეტით გაჭიანურდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოშიც.[78] საგულისხმოა ისიც, რომ სასამართლოების ნაწილმა[79] აპარატს აღნიშნული მონაცემის წარდგენაზე უარი განუცხადა მონაცემების დაუმუშავებლობის გამო.

დამატებით, აღსანიშნავია, რომ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის კუთხით პრობლემები გამოიკვეთა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებშიც. საქართველოს

---

[73] მაგ. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (http://assembly.coe.int/nw/xml/News/News-View-EN.asp?newsid=7737&lang=2&cat=3), ეუთო-ოდირის (https://www.osce.org/odihr/443500?), ევროკავშირის (https://netgazeti.ge/news/414123) განცხადებები.

[74] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, 98.

[75] იქვე, 98-99.

[76] გორის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 03 იანვრის N6 წერილი.

[77] ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 2 ოქტომბრის N1046გ/კ წერილი.

[78] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 13 მარტის N261-2/10 წერილი.

[79] თელავის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 27 დეკემბრის N698 წერილი, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 01 იანვრის N34167 წერილი,

უზენაესი სასამართლოს[80] სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში 2019 წელს განხილული 502 საჩივრიდან კანონით განსაზღვრული ვადის დარღვევით დასრულდა 26 საქმის განხილვა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ განხილული 1949 საქმიდან 481 საქმის განხილვა გაჭიანურდა,[81] ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში განხილული 952 საჩივრიდან 152 საჩივრის განხილვა გაჭიანურდა.[82]

- სასამართლოს შემადგენლობის უცვლელობა

2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში აღინიშნა, რომ 58 საქმეზე დარღვეული იყო კანონისმიერი პრინციპი, რომლის მიხედვითაც, სათადარიგო მოსამართლე არ უნდა დაინიშნოს ისეთ საქმეებზე, სადაც მტკიცებულების უმრავლესობა უკვე გამოკვლეულია, ხოლო თუ ეს მოხდება, მან საქმის განხილვა თავიდან უნდა დაიწყოს.[83]

მიმდინარე წელს მსგავსი დარღვევები კვლავ გამოვლინდა. განსაკუთრებით გამოსარჩევია ზუგდიდის რაიონული სასამართლო, სადაც 25 საქმეზე შეიცვალა არსებითად განმხილველი მოსამართლე და მხოლოდ 13 საქმის განხილვა დაიწყო თავიდან,[84] ასევე ბათუმის საქალაქო სასამართლო, სადაც 85 საქმეზე შეიცვალა არსებითი მოსამართლე, რომელთაგან 23 საქმის განხილვა თავიდან არ დაწყებულა.[85] სასამართლოთა ნაწილმა[86] აპარატს კვლავ უარი განუცხადა შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენაზე, სტატისტიკის არარსებობის გამო.

- ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე ზემოქმედების ფაქტის გამოძიება

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ 2016 წლის საპარლამენტო ანგარიშში მითითებული და წლების განმავლობაში პერმანენტულად დაფიქსირებული პრობლემა, გ. ო.-ს ბრალდების საქმეზე ნაფიც მსაჯულთა საქმიანობაში უკანონო ჩარევის გამოძიების შესახებ, კვლავ შეუსრულებელია. იმის მიუხედავად, რომ გამოძიებას შესაძლოა არსებითი მნიშვნელობა გააჩნდეს გ. ო.-ს მსჯავრდების საქმისთვის, იმის მიუხედავად, რომ გავიდა ხანდაზმულობის ვადაც, გამოძიება კვლავ უშედეგოდ მიმდინარეობს და არ დასრულებულა.[87] ამასთან, პროკურატურამ უარი განაცხადა აღნიშნული საქმის მასალების სახალხო დამცველის აპარატისთვის გაცნობაზე,[88] რის გამოც სახალხო დამცველი მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს გამოძიების ეფექტიანი მიმდინარეობის შესახებ.

---

[80] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 30 დეკემბრის N3-1451-19 წერილი.
[81] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 31 დეკემბრის N1/10934 წერილი.
[82] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 15 იანვრის N40-2/10 წერილი.
[83] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, 99.
[84] ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 30 დეკემბრის N973 წერილი.
[85] ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 06 იანვრის N08-გ/კ წერილი.
[86] თბილისის საქალაქო სასამართლო 2019 წლის 30 დეკემბრის N33912, თელავის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 27 დეკემბრის N697 და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 03 იანვრის N16-1 წერილები.
[87] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 29 იანვრის N13/5392 წერილი.
[88] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2018 წლის 18 დეკემბრის N13/94710 წერილი.

- დაცვის უფლებით სარგებლობა პატიმართა მიერ

2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში აღინიშნა, რომ პენიტენციურ სისტემაში მყოფ ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებს ეზღუდებოდათ დაცვის უფლება, რადგან დაწესებულებების ლიმიტის გათვალისწინებით, მათ არ შეეძლოთ საკანში შეენახათ დოკუმენტაცია 100 ფურცელზე მეტი ოდენობით.[89] სახალხო დამცველის 2015 წლის წინადადება ამ დრომდე არ შესრულებულა, რის გამოც სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი სარჩელით მიმართა.

რაც შეეხება კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებს, წლის განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატმა სხვადასხვა ინსტრუმენტის მეშვეობით მიუთითა სამართალწარმოების პროცესში მატერიალური და საპროცესო შეუსაბამობების თაობაზე შემდეგ საქმეებში:

- ნიკა გვარამიას ბრალდების საქმე

საქართველოს სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ნიკა გვარამიას ბრალდების საქმეზე.[90]

მოსაზრებაში განხილულია საწარმოს დირექტორის სისხლისსამართლებრივი და კორპორატიული პასუხისმგებლობის ფარგლები და განსხვავება მათ შორის. სახალხო დამცველმა მიუთითა, რომ როგორც ქართული კანონმდებლობისა და პრაქტიკის, ისე - საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, დირექტორის მიერ მიღებული, თუნდაც წამგებიანი გადაწყვეტილება არათუ სისხლის, არამედ საკორპორაციო-სამართლებრივ პასუხისმგებლობასაც კი არ დაექვემდებარება, თუკი იგი საწარმოს საუკეთესო ინტერესებს ითვალისწინებდა და მოკლე, ან გრძელვადიანი რისკების დაზღვევა სურდა.

სახალხო დამცველმა განმარტა, რომ საწარმოო რისკების გაწევა და მათი დაზღვევა ჩვეულებრივი ხელმძღვანელობითი პროცესის ნაწილია, ხოლო დირექტორის გადაწყვეტილება დანაშაულებრივად არ უნდა იქნეს მიჩნეული, თუკი ქმედებიდან არ იკვეთება დომინანტური მდგომარეობის არსებობა ან მისი ბოროტად გამოყენება და შესაძლებელია დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გონივრულად განმარტება.

შესაბამისად, სასამართლომ სიღრმისეულად უნდა შეაფასოს, თუ რამდენად წარმოადგენს სადავო ქმედება სისხლისსამართლებრივ დანაშაულს თუ ის განხილული უნდა იყოს საკორპორაციო-სამართლებრივ ჭრილში.

---

[89] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, 103.

[90] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < https://bit.ly/3blzZF6 > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 თებერვალს]

- მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის ბრალდების საქმე

სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით შეფასდა მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის ბრალდების საქმეც, რომელიც ბრალდებულთა მიერ ჩადენილ სავარაუდო ფულის გათეთრებას შეეხებოდა.[91]

სახალხო დამცველმა, საერთაშორისო კანონმდებლობის, კონვენციური პრაქტიკისა და პროფესიული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის შედეგად განმარტა, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) ავტონომიური შინაარსის მქონე, საერთაშორისო გამოცდილებიდან წარმოებული დანაშაულია და მას მკაცრად განსაზღვრული შემადგენლობა გააჩნია.

სახალხო დამცველმა ყურადღება გაამახვილა ფულის გათეთრების დანაშაულისთვის აუცილებელ ისეთი კონსტიტუციურ ელემენტებზე, რომელიც პირთათვის წარდგენილ ბრალდების შესახებ დადგენილებაში საერთოდ არ იკვეთებოდა, ან მეტწილად არადამაჯერებელი იყო და ფაქტობრივი გარემოებებით არ დასტურდებოდა. კერძოდ, სახალხო დამცველმა მიუთითა ბრალდების მხარის მიერ პრედიკატული დანაშაულის დასაბუთების სათუოობის, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სამსაფეხურიანი სქემის არარსებობისა და სპეციალური მიზნის არასწორად განსაზღვრის შესახებ.

- უცხოენოვან ბრალდებულთა თარჯიმნით უზრუნველყოფის პრობლემა

სახალხო დამცველის აპარატი დააკვირდა სასამართლო პროცესებს, სადაც პროცესის მონაწილე აზერბაიჯანულ ენაზე თარგმანს საჭიროებდა. შესწავლის შედეგად, გაირკვა, რომ ბოლნისის რაიონულ სასამართლოსა და მარნეულის მაგისტრატ სასამართლოში თარჯიმნები ვერ ახერხებდნენ მოვალეობის ჯეროვნად შესრულებას. აზერბაიჯანული სიტყვების ნაცვლად, ისინი იყენებდნენ თურქულ ან ქართულ ექვივალენტებს, არ უთარგმნიდნენ უცხოენოვან პირს პროცესს სრულად, არ აფრთხილებდნენ მხარეებს მაშინ, როდესაც ისინი სწრაფად საუბრობდნენ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მარნეულის მაგისტრატ სასამართლოში მიმდინარე თარგმანის ხარისხი, რომელიც არადამაკმაყოფილებელი იყო, რადგან თარჯიმანმა სრულყოფილად არ იცოდა აზერბაიჯანული ენა და თარგმანი ხორციელდებოდა მხოლოდ მაშინ თუ მოსამართლეს ან მხარეს ჰქონდა კითხვა. საგულისხმოა, რომ აღნიშნულის თაობაზე მოსამართლემ თარჯიმანს რამდენჯერმე მისცა მითითება.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

ბოლო წლების განმავლობაში, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება განსაკუთრებული ხელყოფის ობიექტად იქცა, რამაც საზოგადოების დამსახურებული აღშფოთება და საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ყურადღება დაიმსახურა.

[91] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < https://bit.ly/31wWLFP > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 თებერვალს]

სამწუხაროა, მაგრამ ამ უფლების დაცვის თვალსაზრისით 2019 წელი წინა პერიოდის ტენდენციისგან არ განსხვავდება. სახელმწიფო სტრუქტურებმა ვერ შეძლეს პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ვიდეოჩანაწერების გავრცელების პრევენცია, ვიდეოჩანაწერების გავრცელებით გამოწვეული ზიანის შემცირება და დანაშაულზე თანაზომიერი რეაქცია. დამატებით, პირადი ცხოვრების უფლება ირღვეოდა პენიტენციურ დაწესებულებებში, საცხოვრებლისგან მოშორებით პატიმართა დაუსაბუთებელი გადაყვანისა და სხვა პრობლემების გამო.

- პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელება

2019 წლის თებერვალ-მარტში კიდევ რამდენჯერმე დაფიქსირდა პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ვიდეოჩანაწერების გასაჯაროების ფაქტები. განსაკუთრებით მძიმე იყო 26 მარტის შემთხვევა, როდესაც youtube.com-ზე ატვირთული მსგავსი ვიდეო დაახლოებით 10 საათის განმავლობაში ხელმისაწვდომი იყო და ათასობით პირმა იხილა. აღნიშნულმა შემთხვევამ ნათლად წარმოაჩინა, რომ სახელმწიფოს ამ ეტაპზე არ გააჩნია მსგავსი შემთხვევების სწრაფი აღკვეთისა და ზიანის შემცირების მექანიზმი. კვლავაც ძალაშია სახალხო დამცველის ის რეკომენდაცია, რომელიც მსგავსი დანაშაულების რისკის შემცირებისკენ (ინფორმაციის ოპერატიულად შეტყობინების მექანიზმი, მასალის სწრაფად დაბლოკვის გზები და ა.შ.) და ცნობიერების ამაღლებისკენ არის მიმართული.[92]

საგულისხმოა, რომ 2019 წელს ჩადენილი დანაშაულის შესახებ მიმდინარე გამოძიების ფარგლებში 21 პირის მიმართ სასამართლო პროცესები კვლავაც მიმდინარეობს.[93] ნიშანდობლივია, რომ პროკურატურას არ უცნობებია კადრების თავდაპირველად მომპოვებელი, შემნახველი და გამავრცელებელი პირების მიმართ დევნის დაწყებაზე.[94]

ამასთან, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დავიწყებას არ უნდა მიეცეს 2015-16 წლებში მომხდარ მსგავს გახმაურებულ დანაშაულებზე მიმდინარე გამოძიებები.[95] ამ დრომდე, აღნიშნულ საქმეთა აბსოლუტურ უმეტესობაზე დაზარალებულად ან ბრალდებულად პირის ცნობა არ მომხდარა, ხოლო პროკურატურამ არ წარმოადგინა ინფორმაცია იმის შესახებ, ჩატარდა თუ არა რომელიმე გამოძიების ფარგლებში ახალი საგამოძიებო მოქმედება.[96]

- მსჯავრდებულთა დაუსაბუთებელი ეტაპირება

2019 წლის განმავლობაში აქტუალური იყო მსჯავრდებულთა დაუსაბუთებელი გადაყვანა ისეთი ტიპის დაწესებულებებში, რომელიც მოშორებული იყო მათი ოჯახების საცხოვრებელ ადგილს. ტერიტორიული სიშორე ოჯახის წევრებთან კომუნიკაციას

---

[92] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < https://bit.ly/2OBsVdR > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 თებერვალს]

[93] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 16 იანვრის N13/2393 წერილი.

[94] იქვე.

[95] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < https://bit.ly/2uraWjw > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 თებერვალს]

[96] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 16 იანვრის N13/2393 წერილი.

ართულებდა, რაც პირადი ცხოვრების უფლების ხანგრძლივად უსაფუძვლო შეზღუდვას იწვევდა.

აღსანიშნავია, რომ, რიგ შემთხვევებში,[97] პენიტენციური დეპარტამენტი უთითებდა, რომ პირის გადაყვანა საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარე დაწესებულებაში გადატვირთულობის გამო ვერ ხერხდებოდა. მოპოვებული ინფორმაციით გაირკვა, რომ პენიტენციური დეპარტამენტი პრაქტიკაში იყენებს მსჯავრდებულთა ციხეებში განთავსების ისეთ ლიმიტებს, რომელიც ნაკლებია მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ ოფიციალურ ოდენობაზე.[98]

სახალხო დამცველმა ეტაპირების შესახებ რამდენიმე რეკომენდაციით მიმართა იუსტიციის მინისტრს. სხვადასხვა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შედეგად, მსჯავრდებული ვ. ა. და, მოგვიანებით, კიდევ ერთი მსჯავრდებული ვ. ა. გადაიყვანეს მათ საცხოვრებელთან ახლოს მდებარე დაწესებულებებში. სამწუხაროდ, მსგავსი რეკომენდაცია არ შესრულდა მსჯავრდებულ ზ. ჯ.-სთან დაკავშირებით.[99]

- სახალხო დამცველის ცხელ ხაზთან კავშირის შესაძლებლობა

სახალხო დამცველის ცხელ ხაზთან დაკავშირების უფლება, გარდა არასათანადო მოპყრობის პრევენციისა, მნიშვნელოვან კავშირშია პირადი ცხოვრების უფლებასთან. ამჟამად, პატიმრებს სახალხო დამცველის ცხელ ხაზთან დაკავშირება მხოლოდ საკუთარი, შეზღუდული ოდენობის ზარების ხარჯზე შეუძლიათ,[100] რაც ამცირებს ოჯახის წევრებთან მათ წვდომას. სამწუხაროდ, 2018 წლის საკანონმდებლო წინადადება აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ, ამ დრომდე შეუსრულებელია, რის გამოც სახალხო დამცველმა 2019 წელს შესაბამისი სარჩელით საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა.

2019 წლის განმავლობაში ცხელი ხაზით სარგებლობა ტექნიკური პრობლემების გამოც რთულდებოდა. 2019 წლის 2 აპრილს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა იუსტიციის მინისტრს, რათა აღმოფხვრილიყო N6 პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული ტექნიკური პრობლემა, რომლის გამოც მსჯავრდებულები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ვერ სარგებლობდნენ აღნიშნული უფლებით. მისასალმებელია, რომ აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა.[101]

- პირადი ნივთების დაკარგვა პენიტენციურ დაწესებულებაში

2019 წლის 6 ივნისს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა იუსტიციის მინისტრს, რათა დაწყებულიყო დისციპლინური წარმოება მსჯავრდებულ გ. მ.-ს პირადი ნივთების

---

[97] მსჯავრდებული ვ. ა.-სა და ზ. ჯ.-ს საქმეები.
[98] პენიტენციური დეპარტამენტის 2019 წლის 27 დეკემბრის წერილი.
[99] პენიტენციური დეპარტამენტის 2019 წლის 27 ნოემბრის წერილი.
[100] აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა იმ მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებიც დახურული ტიპის დაწესებულებებში იმყოფებიან და რომელთა ლიმიტი შესაძლოა თვის განმავლობაში მხოლოდ 2 სატელეფონო ზარის განხორციელების უფლებას ითვალისწინებდეს.
[101] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2019 წლის 4 აპრილის წერილი.

დაკარგვის გამო. სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ ჩატარებული მოკვლევით დადგინდა, რომ პირად ნივთებთან წვდომა მსჯავრდებულს შეეზღუდა N8 დაწესებულებიდან N6 დაწესებულებაში გადაყვანისას, მისი პირადი ნივთების ორ ეტაპად გადაგზავნის გამო.[102]

- სტატისტიკური ინფორმაცია ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ

სახალხო დამცველმა 2017 წლის საპარლამენტო ანგარიშში მიუთითა, რომ პროკურატურა არ ახდენდა ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული ისეთი სტატისტიკური მონაცემების დამუშავებას, როგორიცაა ინფორმაციის შესაბამისი სუბიექტისთვის მიწოდება, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში[103] ინფორმაციის განადგურება, საგამოძიებო მოქმედების შეჩერება ან შეწყვეტა და სხვა.[104] გაცემული რეკომენდაციისა და პარლამენტის შესაბამისი დადგენილების საფუძველზე,[105] მისასალმებელია რომ პროკურატურამ აღნიშნული ინფორმაციის სტატისტიკური აღრიცხვა 2019 წლის იანვრიდან დაიწყო.[106]

სატელეფონო მოსმენებთან დაკავშირებით სტატისტიკური ინფორმაცია მოპოვებულ იქნა გენერალური პროკურატურიდან, სახელმწიფო ინსპექტორის აპარატიდან, ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოდან და უზენაესი სასამართლოდან. მასალების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ინფორმაციის აღრიცხვა რეკომენდაციის შესაბამისად ხორციელდება და რაიმე ტიპის დარღვევა არ გამოკვეთილა.

სპეციალური ანგარიშები

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტმა მოამზადა და გამოაქვეყნა სამი სპეციალური ანგარიში:

- არასათანადო მოპყრობის სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების ეფექტიანობა[107]

მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილია 2013-2017 წლების პერიოდში მიმდინარე 38 კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის ანალიზი, რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისა და პენიტენციური სისტემის თანამშრომლების მხრიდან ჩადენილ სავარაუდო არასათანადო მოპყრობას შეეხებოდა.

ანგარიშიდან გამოიკვეთა, რომ ოცდათვრამეტივე საქმეზე გამოძიება ისე წარიმართა და დასრულდა, რომ შედეგი არ დამდგარა, კონკრეტული პირი პასუხისგებაში არ მიცემულა.

---

[102] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2019 წლის 23 აგვისტოს წერილი.
[103] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143^3-143^8-ე მუხლები.
[104] საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, 123.
[105] პარლამენტის 2018 წლის 19 ივლისის N3148-რს დადგენილება.
[106] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 13 თებერვლის N13/10583 წერილი.
[107] ანგარიში ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < http://www.ombudsman.ge/res/docs/2019062711422057078.pdf > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 თებერვალს]

გამოძიება ისე შეწყდა, რომ სავარაუდო მსხვერპლი არც ერთ შემთხვევაში არ ყოფილა დაზარალებულად ცნობილი. გამოძიებას რიგ შემთხვევებში პრობლემები ჰქონდა ინსტიტუციური დამოუკიდებლობის თვალსაზრისით. გამოძიებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ის უწყებები, რომელთა თანამშრომლების მიმართაც არასათანადო მოპყრობის ეჭვები არსებობდა.

მიუხედავად, საკანონმდებლო მოთხოვნისა, გამოძიება დაიწყოს დანაშულის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, გამოძიება 26 შემთხვევაში დაუყოვნებლივ არ დაწყებულა. ზოგ შემთხვევაში გამოძიება არაგონივრული გაჭიანურებით დაიწყო, თვეების დაგვიანებითაც კი.

შესწავლილი საქმეების უმეტესობაში გამოძიება არ იყო ორიენტირებული ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვებაზე; არც ერთ საქმეში არ ჩატარებულა ამოცნობა, შემთხვევის ადგილის დათვალიერება; ხშირ შემთხვევაში არ ყოფილა მოპოვებული რელევანტური ვიდეო ჩანაწერები; არც ერთ საქმეში არ ჩატარებულა ფარული საგამოძიებო მოქმედება; არ გამოყენებულა მსხვერპლის დაცვის სპეციალური ღონისძიება. 12 საქმეში არ გატარებულა უსაფრთხოების ღონისძიება და არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლი პატიმარი ისევ (სავარაუდო დანაშაულის ჩამდენი) ადმინისტრაციის კონტროლის ქვეშ დარჩა. არც ერთი სავარაუდო მოძალადე საჯარო მოხელე არ გადაუყენებიათ თანამდებობიდან; მხოლოდ ერთ შემთხვევაში ჩატარდა კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებები მსხვერპლის მოთხოვნით.

სახალხო დამცველმა ხსენებული სპეციალური ანგარიშით მოითხოვა პრაქტიკაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და მეორე მხრივ კონკრეტული საკანონმდებლო რეკომენდაციებით მიმართა საქართველოს პარლამენტსა და გენერალურ პროკურატურას: ნორმატიულ დონეზე გაიმიჯნოს სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების ფუნქციები; გამოირიცხოს გენერალური პროკურორის უფლებამოსილება საქმე ინსტიტუციური დამოუკიდებლობის პრინციპის უგულვებელყოფით გამოსაძიებლად დაუქვემდებაროს კონკრეტულ საგამოძიებო უწყებას; შემუშავდეს სავარაუდო მსხვერპლი პატიმრების დაცვისთვის უსაფრთოხების კონკრეტული მექანიზმები და სხვა.

- პატიმრების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკა[108]

მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილია პენიტენციურ სისტემაში პატიმრების მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პრაქტიკა, მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა და გამოვლენილი პრაქტიკული და საკანონმდებლო ხარვეზები, რომელიც დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ 2018 წელს გამოცემული 307 განკარგულების ანალიზს დაეფუძნა.

[108] ანგარიში ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < http://www.ombudsman.ge/res/docs/2019110509560299657.pdf > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 თებერვალს]

განკარგულებების შესწავლის შედეგად გამოვლინდა არაერთი სისტემური ხასიათის პრობლემა: დაწესებულების დირექტორები პატიმრის დასჯის პროცესში არ ეყრდნობიან ნეიტრალურ მტკიცებულებებს; პატიმრის მიერ დისციპლინური გადაცდომის ფაქტს მხოლოდ დაწესებულების თანამშრომლები ადასტურებენ; განკარგულებებში მხოლოდ ფორმალურად და შაბლონურად მიეთითება კონკრეტულ დისციპლინურ გადაცდომაზე; არ არის წარმოდგენილი დეტალური ინფორმაცია იმ ფაქტის შესახებ, რომელიც პატიმრის მხრიდან გადაცდომად ჩაითვალა; განკარგულებები არ შეიცავს დასაბუთებას კონკრეტული სანქციის გამოყენების პროპორციულობის შესახებ; ერთი სახის დისციპლინური დარღვევის დროს პატიმართა მიმართ განსხვავებული სანქციები გამოიყენება. ნათელი არ არის არაერთგვაროვანი მიდგომის საფუძველი; არცერთ საქმეზე არ ჩატარებულა ზეპირი მოსმენა და შესაბამისად, პატიმარს არ მისცემია საკუთარი ინტერესების საკითხის განმხილველი პირის წინაშე დაცვის შესაძლებლობა; არცერთ საქმეში არ ყოფილა ჩართული ადვოკატი.

სახალხო დამცველის აპარატმა სასამართლოდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დაადგინა, რომ ხშირად პატიმრები დისციპლინური ღონისძიების გამოყენების შესახებ განკარგულებას ვერ ასაჩივრებენ ბაჟის გადახდის ვალდებულების გამო.

არსებითი ხარვეზების მქონე აღმოჩნდა ნორმატიული ბაზაც: არ არსებობს მცირე მნიშვნელობის დარღვევის გამო პატიმრის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებისა და მედიაციის მექანიზმები; პატიმრის ქცევის შეფასებისას არ მოწმდება მისი განზრახვა თუ გაუფრთხილებლობა; არ არის განსაზღვრული დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები; არ არის განსაზღვრული დისციპლინური მოკვლევის ეტაპები და საქმისწარმოების ვადები; არ არის გათვალისწინებული ეფექტიანი დაცვის საშუალებები; ზეპირი განხილვის ჩატარების საფუძველი არ არის სრულყოფილი; არ არსებობს სანქციის სახეების გამოყენების სტრუქტურული და დეტალური სქემა, რომელიც ხელს შეუწყობდა ინდივიდუალურად განსაზღვრული და პროპორციული სანქციის გამოყენებას; არ არსებობს დისციპლინური სახდელის გამოყენების ალტერნატიული ღონისძიებები; პრობლემურია სამარტოო საკანში მოთავსების ხანგრძლივობა და მისი გამოყენების სამართლებრივი ტესტის არარსებობა.

ანგარიშის თანახმად, სახელმწიფომ დროულად უნდა გადადგას ეფექტიანი ნაბიჯები და იზრუნოს როგორც კანონმდებლობის დასახვეწად, ისე პრაქტიკის გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით სახალხო დამცველმა დასახელებული პრაქტიკული ხარვეზების აღმოფხვრის აუცილებლობაზე მითითების პარალელურად, კონკრეტული რეკომენდაციებით მიმართა საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს. კერძოდ, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ უნდა განისაზღვროს მცირე მნიშვნელობის დარღვევის გამო პატიმრის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესაძლებლობა; შემუშავდეს პატიმრის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების მიზნით მედიაციის მექანიზმი; განისაზღვროს დისციპლინური ბრალდების სტანდარტი, საქმისწარმოების სტადიები და

ვადები; გაიწეროს პატიმრის ეფექტიანი დაცვის გარანტიები; განისაზღვროს დისციპლინური წარმოებისას ზეპირი მოსმენის ჩატარების წინაპირობები; განისაზღვროს დისციპლინური დარღვევის ხარისხისა და პროპორციული სანქციების გამოყენების სტრუქტურული სქემა, მათ შორის, გაიწეროს კონკრეტული სანქციის გამოყენების ხანგრძლივობა; კონკრეტულად და ამომწურავად განისაზღვროს დარღვევების ის სახეები, რომელთა დისციპლინურ სახდელად გათვალისწინებული იქნება სამარტოო საკანში მოთავსება და სხვა.

- პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა[109]

მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილია მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პროცესის განმეორებითი[110] ანალიზი, რომელიც 2018-2019 წლებში ექვსი ადგილობრივი საბჭოს მიერ 1 413 საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებისა და 95 სასამართლო გადაწყვეტილების შესწავლას ეფუძნება.

შესწავლის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე ძირითადი საკითხი: საბჭოს გადაწყვეტილებები დაუსაბუთებელი და არაერთგვაროვანია; საბჭო, ხშირ შემთხვევაში, არ აქცევს ყურადღებას დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ხანდაზმულობას, გადაცდომის სიმძიმეს, დაკისრებული სახდელის სიმძიმეს და არც გადაცდომის შემდგომ პერიოდში, პატიმრის დადებითად შეცვლილ ქცევას; საბჭოს გადაწყვეტილებებში არსებითი ხასიათის უზუსტობები ფიქსირდება, რაც ხშირ შემთხვევაში, პატიმრისთვის საუარესო გადაწყვეტილების წინაპირობა ხდება; არ არის განჭვრეტადი საბჭოს მიერ საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის მოტივაცია; სასამართლო პრაქტიკა არაერთგვაროვანი და რიგ შემთხვევებში, ბუნდოვანია.

აქვე პოზიტიურ კონტექსტში ხაზი უნდა გაესვას საბჭოს მიერ მიღებული დადებითი გადაწყვეტილებების ზრდის ტენდეციას, რაც 2018 წელთან შედარებით, დაახლოებით 6-8%-ით მეტ დადებით გადაწყვეტილებაში გამოისახა.

---

[109] ანგარიში ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < http://www.ombudsman.ge/res/docs/2020020517313446710.pdf > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 თებერვალს]

[110]ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა არაერთგვაროვნებისა და დაუსაბუთებლობის პრობლემებზე მსჯავრდებულთა გაჩშირებულმა მომართვიანობამ პირველად 2013-2014 წლებში დააყენა დღის წესრიგში ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის შესწავლის, კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის აუცილებლობა. ამ საკითხზე, სწორედ, 2014 წელს გამოაქვეყნა საქართველოს სახალხო დამცველმა თავისი პირველი სპეციალური ანგარიში - „სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობა". ანგარიშში ასახული იყო საკანონმდებლო და პრაქტიკული ხარვეზები, გაიცა რეკომენდაციები რელევანტური უწყებებისთვის. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:
< http://www.ombudsman.ge/res/docs/2019041114483621063.pdf > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 1 თებერვალს]

თუმცა, მიუხედავად სტატისტიკური მაჩვენებლის ზრდის ტენდენციისა, განხილული მექანიზმის ფუნქციონირებაში არსებითი ხარვეზები რჩება, რის გამოც აუცილებელია იუსტიციის სამინისტრომ შემჭიდროვებულ ვადებში გადადგას ეფექტიანი ნაბიჯები. აუცილებელია საბჭოებმა ყურადღება მიაქციონ არა მხოლოდ პატიმრის მიერ ჩადენილ ქმედებას/დანაშაულს, მის სიმძიმესა თუ ხასიათს, არამედ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმონ პატიმრების პენიტენციურ სისტემაში გამოვლენილ ქცევას, პროგრესს, რესოციალიზაციის ხარისხს. ამასთან, საბჭოებმა უნდა დაასაბუთონ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გადაწყვეტილებები, რათა არ გაჩნდეს შეკითხვები, ეჭვები ტენდენციურობასა და არაობიექტურობაზე. პრაქტიკული ხარვეზების აღმოფხვრის პარალელურად, აუცილებელია დაიხვეწოს ნორმატიული ბაზა და პირობით ვადამდე გათავისუფლებისა თუ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პროცესში უფრო მეტ კრიტერიუმს მიექცეს ყურადღება, მათ შორის, ისეთ ასპექტებს, რომელიც მიემართება მსჯავრდებულის სამომავლო გეგმებს, პერსპექტივებს, შესაძლებლობებს და სხვა საკითხებს.

გარდა წინამდებარე სპეციალურ ანგარიშში ასახული პრობლემებისა, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტმა ასევე შეისწავლა ერთი ინდივიდუალური შემთხვევა - მსჯავრდებულ ა.ო.-ს საქმე და დაადგინა პირობით ვადამდე გათავისუფლებისთვის განსაზღვრული მინიმალური საშელავათო ვადის არასწორი გამოთვლის პრობლემა. პენიტენციურმა დაწესებულებამ საშელავათო ვადა გამოთვალა არა კანონით დადგენილი, ფაქტობრივად მოხდილი სასჯელიდან, არამედ განაჩენის აღსრულების დაწყების მომენტიდან. ამის გამო პენიტენციურმა დაწესებულებამ ადგილობრივ საბჭოს პატიმრის საქმე 1 თვისა და 29 დღის დაგვიანებით გადაუგზავნა. სახალხო დამცველმა რეკომენდაციით[111] მიმართა იუსტიციის მინისტრს როგორც ამ კონკრეტული მსჯავრდებულის პრობლემის აღმოფხვრის, ისე ზოგადი ღონისძიებების გატარების რეკომენდაციით - მსგავსი პრაქტიკის შეცვლის მიზნით.

- სხვა კვლევები

გარდა ზემოთქმულისა, დეპარტამენტმა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე ა(ა)იპ „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისთვის" ერთად განახორციელა პროექტი „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში არასრულწლოვან ბრალდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა საპროცესო უფლებების დაცვა". თბილისის, რუსთავისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში არასრულწლოვანთა მონაწილეობით გამართული დახურული სასამართლო პროცესების შედეგები საზოგადოებისთვის ცნობილი 2020 წლის მარტში გახდა.[112]

[111] საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია N 15-4/13267.
[112] ანგარიში ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/33DrFNy > [ბოლოს ნანახია 2020 წლის 23 მარტს].